ლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე-8 სართული
მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული. ტელეფ. 8—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება—50 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

დღიური

კლარა ცეტკინას სიტყვა რეიხსტაგში.

ახლო-აღმოსავლეთში: ოსმალეთის კონტრწინადადებები, განზრახული მოლაპარაკება, ინგლისის სურვილი, ბონარ-ლოუს განცხადება ოსმალეთის კონტრწინადადებების მიუღებლობის შესახებ.

მეორე ინტერნაციონალი ერთიან ფრონტის წინააღმდეგ.

რურის ოკუპაცია: ფრანგების წინსვლა, დატუსაღებულები ვერდენის ციხეში, 1,000 კაცის გადასახლება, ცენზურის შემოღება, ინგლისის სავაჭრო პალატის საჩივარი, შტრეიკბრეხერების მოგროვების ცდა უნაყოფოთ ჩატარდა.

№ 56 კვირა, 11 მარტი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10 000 მან. № 56

ის შემდეგი №, პარტიის 25 წლის თავისათვის, გამოვა ოთხშაბათს ილუსტრაციული დამატებით.

რტს, დილის 11 საათზე, სასახლის თეთრ დარბაზში

გაიხსნება

საქართველოს კომპარტიის მე-2-ე ყრილობა

დღის წესრიგი:

ცეკას ანგარიში.
ცენტრ. საკონტროლო კომისიის და სარევიზიო კომისიის ანგარიში.
საქართველოს ახალგაზრდობის კომკავშირის ცეკას ანგარიში.
საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ბიუროს ფრაქციის მოხსენება შირებში მუშაობის შესახებ.
ეროვნული მომენტი პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობაში.
მიწის რეფორმის შედეგები.
სამეურნეო აღმშენებლობის ამოცანები საქართველოში.
არჩევნები.
არმომადგენლობის ნორმა: საქართველოს კომპარტიის 100 ნამდვილ გან—1 დელეგატი.
ითელი არმია გზავნის დელეგატებს სამხედრო პარტიულ კონფერენ- საერთო წესით.

საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი მიხ. კახიანი.

მარტს, თებერვლის რევოლუციის 6 წლის თავის აღსანიშნავი მიტინგები.

ონი—ნაძალადევის თეატრი—6 ს.—**ამხ. ორჯონიკიძე.**
ონი—ცენტრალური მუშათა კლუბი—7 ს.—**ამხ. ელიავა.**
ონი—ავლაბრის რაიონ. კლუბი—7 ს.— **მხ. კოსტანიანი**
ონი—პროფკავშირთა საბჭოს კლუბი—**ამხ. მიასნიკოვი.**

ერვლის რევოლუციის 6 წ. თავი

ამხანაგებო!

ორედ ექვსი წლის წინათ დაიმსხვრა თვითმპყრობელობის ხუნდები ეთის პროლეტარიატი და მასთან ერთად მთელი მშრომელი ხალხი, თავგანწირულობით და ღრმად დარწმუნებული თავის ძლიერებაში, ახალი ცხოვრების შენებას.

მართლდა რუსეთში მარქსიზმის მამა-მთავრის პლეხანოვის ბრძნული ი, რომ რუსეთში რევოლუცია გაიმარჯვებს, როგორც მუშათა მო- ან სრულებით ვერ გაიმარჯვებსო. და გაიმარჯვა ამ მუშათა მოძრა- ა ელვის სისწრაფითაც წინსვლაში მან უკან დასტოვა თვით ის ბე- ი, რომლებიც უწინასწარმეტყველებდენ მას გამარჯვებას და ის ამო- , რომელთაც ისინი ისახავდენ.

ომანოვების სამასი წლის უღლის ჩამოგდება ისეთი გიგანტიური ა იყო, რომ გვეგონა მთელი თაობა შეეწირებოდა მას.

ა რა მოხდა! არ გასულა 8 თვეც, რომ რუსეთის პროლეტარიატის გამარჯვებამ დაჩრდილა ეს გამარჯვება თვითმპყრობელობაზე.

ქარი გიგანტიური ნაბიჯებით მიექანება წინ მუშათა კლასი, რომელ- მოსჭედა რკინისებური ნებისყოფა გამარჯვებისათვის, თავის საბოლოო —სოციალიზმის განსახორციელებლად.

ოციალიზმი უკვე აღარ არის მშვენიერი ზღაპარი, ოცნება, ან შორე- ელი, არამედ ის რეალური სინამდვილეა. პროლეტარიატის დიქტა- ეს არის სისხლიანი და ერთად ერთი გზა გამარჯვებისაკენ და სწო- უსეთის პროლეტარიატი უკვე ხუთი წელია სათავეში უდგას ძალა- ს, მას მძლავრი ხელით უპყრია საჭე და მიჰყავს რევოლუციის ხო- მაზიური ქვეყნისაკენ—სოციალიზმისაკენ.

ამასი წელიწადი იმყოფებოდა რუსეთი სულთა-მხუთავების ხელში. სა- ლიწადი ჰკორტნიდა ორთავიანი არწივი მიჯაჭულ პრომეთეს გულს! ისეთი ძალა, რომელიც არ ყოფილიყო გამოყენებული ხალხის და- ს, ჩაგვრის და გონების დაჩლუნგებისათვის.

ღარიბეს და შეუწყვეტელ შრომას უნდა ჩაეხშო ოცნება სხვა გვარ აზე.

ლხის გაბრუება ალკოჰოლით შედიოდა თვითმპყრობელობის პროგრა- ეე როგორც ერთი ერის მეორესადმი გადაკიდება და ზოოლოგიური ლური სიძულვილის გაღვივება. ხალხს სული ეხუთებოდა. გადიოდნენ ი. ერთს თაობას სცვლიდა მეორე, რომელსაც მემკვიდრეობათ რჩე- ვე ხვედრი მონების, რომელთაც ფიქრიც ვერ გაებედათ უკეთეს ის შესახებ. ასეული ათასი ხალხი იტანჯებოდა წამებაში, ციხეში, ომში. სიკვდილით სასჯელი ყველას, ვინც გაბედავს ამხედრებას მო- ნების წინააღმდეგ. ასეთი იყო ძველი თვითმპყრობელური რუსეთი.

არ შეიძლება ცხოვრების შეჩერება და შებოჭვა.

ანუზომელი მსხვერპლით, ზე-ადამიანურ ღონისძიებით სწარმოებდა ამ ვეებერთელა ციხეში. თანდათანობით, ხელ-ფეხ შეკრული ხალხი ეე ისწორებდა თავის ძლიერ ფრთებს ხუნდების დასამსხვრევად. როდესაც საზოგადოებრივი ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდა მუშათა ბრძოლა ღებულობს გადამჭრელ ხასიათს. პირველი გრანდიოზული ა თვითმპყრობელობასთან მოხდა 1905 წელს.

როლეტარიატმა ვერ გაიმარჯვა მაშინ, რადგან ის მაშინ განცალკევე- ლმოჩნდა. გლეხთა მასების უმეტესობა მას მხარს არ უჭერდა, საჭირო ანასკნელი მსოფლიო ომი, სამი წელი საშიშარი აუტანელი მსხვერპ- ლტაკება, რათა თვით გლეხობასაც შეეფასებია და გაეგო თვითმპყრო- ს როლი და გადაჭრით მიმხრობოდა მუშათა კლასს.

როლეტარიატმა გაიმარჯვა და თუმც აღარავინ არ ცდილობდა ამ მარჯვების უარყოფას, მაგრამ მისი გაზიარების მსურველები ბევრი ნენ და აი რევოლუციის პირველ თვეებში ჩვენ ხელისუფლების ში ვხედავთ არა მუშათა კლასს, არამედ საიდანღაც ამოტივტივებულ ბს, მემარჯვენე ესერებს და მენშევიკებს. რევოლუციის ეს მარიო- , რომელთაც თავი მოჰქონდათ მის „ჭეშმარიტ“ ბელადებათ, გულ- ად დარწმუნებული იყვნენ, რომ რევოლუციონური ხალხის ნების ტველნი ისინი არიან.

ურჟუაზიული კლასი მათი სახით მოუჯდა მუშების ხელით გაწყობილ . რუსეთის ბურჟუაზია ცდილობდა განემეორებინა აქ ის, რაც ოდე- ხდებოდა საფრანგეთში! მაგრამ ის დრო აღარ არის! სოციალიზმის ი თავს დასტრიალებს ევროპას და ამ მშვიდობიან ბურჟუებს (რომ- მშვენივრათ ეთვისებოდენ თვითმპყრობელობას და რომელთაც ერთი ა არ ჰქონიათ მასთან) ჩქარა დაუდგა აღსასრულის დღე.

როლეტარიატის ერთი ხელის დაკვრით ისინი მოექცენ ბარიკადების მხარეზე, სწრაფად გამოააშკარავეს რა თავიანთი ბუნება, ვინაიდან ისი და ყველა ეტაპები სამოქალაქო ომის, რომელმაც წილად არგუ- რომელ ხალხს ამოდენა უბედურება, მათ მიერ იყო შექმნილი თეთრ- ელთა ბანდებსა და მეფის დამქაშებთან ერთად.

უშათა კლასი, რომელმაც მოახდინა პოლიტიკური რევოლუცია, გა- სამასი წლის მონობის უღელი, იძულებული იყო ერთი წუთითაც რებულიყო ამ გმირულ გამარჯვებაზე და გაემართა ომი თავის უბო- მტერის, კაპიტალისტის წინააღმდეგ ძალა უფლებისათვის, კაპიტა- სრული განადგურებისათვის. მის მიერ მიღწეული გამარჯვება იმ დი, გრანდიოზული და უჩვეულოა, რომ მის წინაშე იჩრდილება ყვე- ელილი გამარჯვებები.

სწორედ ამისათვის არის თვითმპყრობელობის დამხობა (რომელიც რანდიოზულ ამოცანას შეადგენდა მრავალ თაობისათვის, რომელიც ლია უამრავი მსხვერპლის გაღებით) არა ისე ბრწყინვალე და თვალ- ჩვენთვის. მას ჩრდილავს უფრო გრანდიოზული ამოცანები. გზა, აც ამ ჟამად მიემართება მსოფლიო პროლეტარიატი, რომლის სა- დგას და გმირულად იბრძვის პირველ რიგებში რუსეთის მუშა. აი ბნებს და ამხნევებს ჩვენს გულს.

ატივი და დიდება რუსეთის მუშას, რომელმაც დაამსხვრია თვითმპყ- ობის ხუნდები და მოსპო სამარცხვინო მონობა.

უმარჯოს რუსეთის პროლეტარიატს, რომელმაც რევოლუციის ით გამოსჭედა თავისი ნებისყოფა და ძლიერება ბრძოლისა და გამარჯვებისათვის!

უმარჯოს რუსეთის პროლეტარულ რევოლუციას!

უმარჯოს კომუნიზმს!

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტი.

ექვსი წლის თავზე

დღეს ჩვენი ქვეყნის და მთელი საბჭოთა ფედერაციის მშრომელი ხალხი იგონებს და დღესასწაულობს თებერვლის რევოლუციის ექვსი წლის თავს.

სწორედ ექვსი წლის წინედ, 1917 წლის 27 თებერვალს (12 მარტს) დაემხო მანამდე შეურყევლად მიჩნეული სისხლიანი ტახტი რუსეთის ცარიზმის, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში სულს უხუთავდა მშრომელ მასსებს და რომელიც იყო მთავარი მასაზრდოებელი და დასაყრდნობი საერთაშორისო რეაქციის.

ამ მხრივ თებერვლის რევოლუციას აქვს მნიშვნელობა არა მარტო რუსეთის, არამედ მსოფლიოს მასშტაბითაც.

ვინ ჩაიდინა ეს ისტორიული საქმე, ვინ დაამსხვრია ცარიზმის ხუნდები?.

წინააღმდეგ ბურჟუაზიულ და შემთანხმელ პარტიების, მათ შორის ქართველი მენშევიკების მეთაურის მტკიცებისა, რომ თვითმპყრობელობის დამხობაში მონაწილეობა მიიღო როგორც მუშათა კლასმა, ისე ბურჟუაზიამ, რომ ამ უკანაკნელსაც მიუძღვის ამ საქმეში დამსახურება, ჩვენ ვამბობთ, რომ ეს იყო საქმე მხოლოდ მშრომელ მასსების, რომელნიც ათეულ წლების განმავლობაში თავგანწირულ ბრძოლას აწარმოებდნენ თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ და რომელთაც, მუშებმა და ჯარის-კაცთა შინელებში გამოწყობილ გლეხებმა, თებერვლის წინა დღეებში დაღვარეს სისხლი ძველი წყობილების დამცველებთან სამკვდრო სასიცოცხლო შეტაკებებში. ბურჟუაზია კი არა მეფის რეჟიმის დამხობაზე ფიქრობდა, არამედ მის გახრწნილ აპარატის, "შეპაჩინკებაზე", და მას კიდეც ყავდა ნიკოლოზის მაგივრად სამეფო კანდიდატი—მისი ძმა მიხეილი.

თებერვლის რევოლუცია თუმცა უშუალოდ მოახდინა თვით მუშათა კლასმა, მისი ნაყოფით სარგებლობა მოინდომა ბურჟუაზიამ. ამაში მას ხელი შეუწყვეს შემთანხმებელ პარტიებმა. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი ცნობილი მენშევიკის თქმით, თებერვლის გადატრიალების მეორე დღეს ძალაუფლება „ქუჩაში ეგდო“, არავინ იყო მისი ამღები და მაშასადამე, რევოლუციის მომხდენ მუშათა კლასს უნდა ჩაეგდო ის ხელში, „სოციალისტებმა“ ის ნება-ყოფლობით გადასცეს ბურჟუაზიას.

აქ გამოაშკარავდა ამ ვაჟბატონების, სოციალისტ-რევოლუციონერების და მენშევიკების წვრილ-ბურჟუაზიული სოციალური ბუნება, მათი უნდობლობა თავისა და მუშათა კლასისადმი, მათ ქედი მოიხარეს და იარაღი დაყარეს ბურჟუაზიის წინაშე.

ჩაუდგა რა ძალა-უფლებას სათავეში, ბურჟუაზია, რა თქმა უნდა, თავს არ იცხელებდა მშრომელთა ინტერესების დაკმაყოფილებით, ის შეუდგა თავის პოლიტიკის გატარებას. არც ერთი მნიშვნელოვანი სოციალური რეფორმა, იმპერიალისტური ომის ძლევა-მოსილად დამთავრება,— აი მისი სამოქმედო პროგრამა.

რასაკვირველია, თავის პოლიტიკას ბურჟუაზია ახვევდა ნაციონალურ და რევოლუციონურ ფრაზეოლოგიაში, მაგრამ მისი ნამდვილი შინაარსი ბოლოს და ბოლოს დაფარული არ დარჩებოდა მუშათა კლასისათვის.

ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის პოლიტიკა თან და თან ზრდიდა უკმაყოფილებას და რევოლუციონურ განწყობილებას ფართე მშრომელ მასსებში.

გადატრიალების შემდეგ, გაშლილ კლასთა ბრძოლის პროცესში სწრაფი ტემპით ხდებოდა საზოგადოებრივ ძალთა დიფერენციაცია—კრისტალიზაცია. პროლეტარიატი ირაზმებოდა ბურჟუაზიის ხელისუფლების დასამხობად, ამ უკანასკნელს ვერ უშველა ვერც კოალიციამ შემთანხმებლებთან, რომელთა საშუალებით ის ცდილობდა მასსის რევოლუციონური ენერგიის მოდუნების.

ამხედრებულმა მშრომელ ხალხმა, ბოლშევიკების ხელმძღვანელობით და მეთაურობით, მაგარი იერიშით ბოლო მოუღო კოალიციონური მთავრობის 8 თვის სამარცხვინო არსებობას.

მოხდა ოქტომბრის რევოლუცია, დამყარდა საბჭოების ძალა-უფლება, რომელმაც შეასრულა ის, რის გაკეთებაც ვერ შესძლო თებერვალმა. მან გამოიყვანა ხალხი იმპერიალისტურ ომის ცეცხლიდან, განთავისუფლა ის მემამულეების და კაპიტალისტების ბატონობისაგან.

ამგვარად, თებერვალი იყო შესავალი ოქტომბრის რევოლუციის. მისი უაღრესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან ცარიზმის დამხობით ხელფეხი გაუხსნა მუშათა კლასს და ნიადაგი შეუმზადა მის საბოლოო განთავისუფლებას.

ამასთან თებერვლიდან ოქტომბრამდე განვლილი რვა თვე საუკეთესო სკოლა გამოდგა რუსეთის მშრომელ მასსებისათვის „სოციალისტების“ წვრილ-ბურჟუაზიულ ილიუზიების დასაძლევად. ამ რვა თვემ, დროებითი მთავრობის და შემთანხმებლების მოქმედებამ ამ ხნის განმავლობაში, სავსებით გამოაშკარავა ბურჟუაზიული დემოკრატიის სრული სიკოტრე და უნიადაგობა და შექმნა პირობები საბჭოთა სისტემის დამკვიდრებისათვის.

ამაშია თებერვლის დიდი ისტორიული დამსახურება.

თებერვლის ამბები დიდი გაკვეთილია არა მარტო რუსეთის მუშებისათვის, რომელიც ის სავსებით გამოიყენეს ოქტომბერში და შემდეგ პერიოდში, არამედ მსოფლიო მუშათა კლასისათვისაც, რომელიც საერთოდ დღეს ოქტომბრის წინა ხანებში იმყოფება და რომელმაც დაუნდობელი ბრძოლა უნდა აწარმოოს როგორც ბურჟუაზიის, ისე მის აგენტ ყვითელ სოციალისტების წინააღმდეგ.

კერძოდ საქართველოში თებერვლის ხანა გაგრძელდა არა რვა თვეს, როგორც რუსეთში, არამედ მთელი ოთხი წელიწადი, განსაკუთრებული პირობების და მენშევიკების მოღალატეობის წყალობით. მაგრამ ჯერი აქაც დადგა, და ჩვენმა მუშათა კლასმაც გადაალახა თებერვლის საზღვრებს და ის საბჭოთა ხელისუფლებას ეზიარა.

რევოლუციის განვითარება, რა თქმა უნდა, აქ არ შეჩერდება. რუსეთში თებერვალს დაწყებული რევოლუცია, ოქტომბრით დაგვირგვინებული—საბჭოთა ფედერაციის საზღვრებში, მოედება მთელ მსოფლიოს და წალეკავს ისტორიისაგან განწირულ კლასებს და გახრწნილ ბურჟუაზიულ-ფეოდალურ წყობილებას.

როდის ჩამოჰკრავს რევოლუციის საათი?

ამხ. ნიუბოლდის წერილი.

ბაქო. 8 მარტი. ბაქოს გაზეთ „ტრუდში“ 8 მარტის ნომერში დაბეჭდილია ინგლისის პარლამენტის წევრის კომუნისტის ამხ. ნიუბოლდის წერილი აღმოსავლეთის პოლიტიკის და აღმოსავლეთში ინგლისის მდგომარეობის შესახებ.

— „აღმოსავლეთში დიდი-ბრიტანეთის პოლიტიკა, სწერს ამხ. ნიუბოლდი, ორი მიზეზით განისაზღვრება. პირველი ინგლისის კაპიტალისტების ინტერესები შეინარჩუნონ ბატონობა ინდოეთში და აქედან აუცილებლობა შეინარჩუნონ და განამტკიცონ თავისი გავლენა და კონტროლი ყველა იმ გზებზე, რომელთაც ისინი გაგზავნიან თავის ჯარებს ინდოეთისაკენ; მეორე—ლტოლვა ხელში ჩაიგდონ ის სიმდიდრეები, რომელიც შავი ზღვის გარშემო მოიპოვება. ერთ ასეთ სიმდიდრეთ ითვლება ნავთი: ბაქოს, გროზნოს, რუმინიის, მაკედონიის და სპარსეთის. ინგლისის კაპიტალისტები მეგობრულად შეუთანხმდენ ამერიკელებს მოსულის ნავთის გაყოფის საკითხში. კაპიტალისტებს ეშინიათ საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა კავშირის ოსმალეთის, სპარსეთის და აგრეთვე ეგვიპტეს და ინდოეთის პროლეტარიატთან. და ამიტომ იყავით სპარსეთის, ანატოლიის, სომხეთის, სირიის და მესოპოტამიის გლეხთა მასების მეგობრები და მოკავშირეები. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რათა აღმოსავლეთის მუშებმა და გლეხებმა ჩამოაგდონ კაპიტალისტური ექსპლოატაციის უღელი. იმ დღეს, როდესაც აღმოსავლეთის მასები აჯანყდებიან და წავლენ კომინტერნის სახელოვან წითელ დროშის ქვეშ, ჩამორეკავს მსოფლიო რევოლუციის საათი და ყველა ქვეყნებში და დიდ-ბრიტანეთშიაც უზრუნველყოფილი იქნება მასების გამარჯვება.

მეორე ინტერნაციონალი ერთიან ფრონტის წინააღმდეგ

მოსკოვი. 10 მარტი. ახალგაზრდობის მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტმა გაუგზავნა ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტს ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ არ შეიძლება ლაპარაკი ორ ინტერნაციონალის ერთიან ფრონტის შექმნის შესახებ იმ დრომდე, სანამ ახალგაზრდობის კომინტერნი არ გამოვა რუსეთში მენშევიკურ ორგანიზაციების დასაცავად. **ახალგაზრდობის კომინტერნი თავის პასუხში მეორე ინტერნაციონალის მიმართ აცხადებს რომ,** უარყო რა რუსეთის პროლეტარიატთან ერთად ერთიან ფრონტის შექმნა, ვენის ინტერნაციონალმა მხარი დაუჭირა მთლიან ფრონტს ლიბერალურ ბურჟუაზიასთან. წერილის ბოლოს ახალგაზრდობის კომინტერნმა მაინც გამოსთქვა იმედი, რომ ვენის ინტერნაციონალის მრავალი წევრი მიიღებენ მონაწილეობას ომის საწინააღმდეგო საერთაშორისო პროპაგანდის კვირაში და ახალგაზრდობის კომინტერნთან ერთად გასწევენ რევოლუციონურ ბრძოლას იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, მიწის რეფორმის განხორციელების შესახებ.

რათა საქართველოში საბოლოოდ აღმოფხვრილ იქნეს ფეოდალურ ურთიერთობათა ყოველგვარი ნაშთი და დაჩქარებით განხორციელდეს მიწის რეფორმა, რომელმაც უზრუნველ უნდა ჰყოს მშრომელი ხალხი მიწის სარგებლობით, აგრეთვე გადასახლებისათვის მიწის ფონდის შესაქმნელად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი თანახმად ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სესიის მიერ 1923 წ. იანვრის 21-ს მიღებულ რეზოლიუციისა,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის მე-17 ნომრის დეკრეტის განსავითარებლად ადგენს:

1. იმ მიწების ჩამორთმევას, რაც აღემატება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1922 წ. მაისის 26-ს მიწათ-მოწყობის შესახებ გამოცემული დებულებით დაწესებულ ნორმას და ამ მიწების განაწილებას უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხთა შორის აწარმოებენ სასოფლო კომიტეტები. სოფლის კომიტეტი შეადგენს აქტს, რომელშიაც აღნიშნულ უნდა იქნეს ვის, სად და რამდენი მიწა უნდა ჩამოერთვას და ვისა და ვის შორის უნდა იქნეს იგი განაწილებული. სოფლის კომიტეტი უნდა იქნეს არჩეული სოფლის ყრილობის მიერ სამი, ან ხუთი პირის შემადგენლობით.

კომიტეტებს უფლება აქვთ მოიწვიონ მცოდნე პირნი (აგრონომი, მიწის მზომელი და სხვ.) სოფლის კომიტეტების დადგენილებათა ტეხნიკური შესრულებისათვის.

2. სასოფლო კომიტეტების მიერ შედგენილი აქტები, სამი დღის განმავლობაში დღიდან შედგენისა, უნდა წარედგინოს თემის სადგილ-მამულო კომიტეტს, რომელიც შესდგება 3 წევრისაგან და რომელსაც ირჩევს თემის აღმასრულებელი კომიტეტი.

თემის სადგილ-მამულო კომიტეტი განიხილავს და დაამტკიცებს აქტს ხუთი დღის განმავლობაში დღიდან მიღებისა, განიხილავს აგრეთვე საჩივრებს, დაინტერესებულ პირთა მიერ შეტანილს იმავე ვადაზე და საქმის ვითარების მიხედვით ან დაამტკიცებს ამ აქტს, ან შესცვლის. დამტკიცებული ან შეცვლილი აქტი დაებრუნება სოფლის კომიტეტებს დაუყონებლივ სისრულეში მოსაყვანად.

დაინტერესებულ პირს უფლება აქვს განასაჩივროს თემის კომიტეტის მოქმედება,—ერთი კვირის ვადაზე—დღიდან აქტის დამტკიცებისა, ან შეცვლისა,—მაზრის მიწათ-მოქმედების განყოფილების კოლეგიაში, რომელიც შესდგება მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის წევრის თავმჯდომარეობით და განყოფილების გამგისა და მიწათ-მომწყობელისაგან. განსაჩივრება არ შეაჩერებს აქტის სისრულეში მოყვანას.

3. მაზრის მიწათ-მოქმედების კოლეგიის დადგენილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს,—ერთი კვირის განმავლობაში დღიდან დადგენილებისა,—მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის საბჭოში, რომელიც შესდგება მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარის თავმჯდომარეობით და მისი მოადგილისა და მიწათ-მოწყობის განყოფილების გამგისაგან. კომისარიატის საბჭოს დადგენილება,—როგორც საბოლოო,—არ განსაჩივრდება.

შენიშვნა: მიწად-მოქმედების სახალხო კომისარს უფლება აქვს საჩივრის განხილვა მიანდოს საბჭოს სხვა შედგენილობას.

4. ყოველგვარი სადგილ-მამულო დავა და, სხვათა შორის მიწის სარგებლობით გამოწვეული დავაც, რაც აღიძვრის არა მიწათ-მომწყობის პროცესში, უნდა განხილულ იქნეს საერთო წესით სახალხო სასამართლოს მიერ.

5. გაუქმებულ იქნეს 1922 წ. მაისის 26-ს დებულების მეოთხე და მეშვიდე მუხლი შენიშვნითურთ.

6. იმავე დებულების მე-6 მუხლი შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

„მიწის ნორმა ყოფილ მესაკუთრეს დაეტოვება იმ შემთხვევაში უკეთუ იგი სცხოვრობს ადგილობრივ და საკუთარის შრომით ეწევა მეურნეობას“.

7. დაეტოვება მიწის ნორმა:

ა) ადგილობრივ მცხოვრებ შრომის უნარდაკარგულ მოხუცებულთ, ქვრივ-ობოლთ, უკეთუ ისინი ცალკე კომლს წარმოადგენენ და მრჩენელი არა ჰყავთ:

ბ) სოფლის მეურნეს: წითელ არმიელთ, მუშათა და გლეხთა მილიციის მოსამსახურეთ და მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოების მიერ არჩეულ მოსამსახურეთ, როდესაც ეს მოსამსახურენი დროებით მოწყვეტილი იქნებიან სოფლის მეურნეობას.

დაეტოვებათ ნახევარი მიწის ნორმა ადგილობრივ მიწის კომიტეტების თანხმობით:

ა) ფიზიკური შრომის მუშებს, რომელნიც ეწევიან წარმოებითი შრომას სახელმწიფო და კერძო საწარმოოში და დაწესებულებაში;

ბ) სოფლის მასწავლებლებს;

გ) მაზრის, თემისა, და სოფლის აღმასრულებელი კომიტეტების თანამშრომელთ, რომელთაც კავშირი არ გაუწყვეტიათ სოფლის მეურნეობასთან;

დ) აგრონომებს და ვეტერინარებს.

8. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მიწადმოწყობის განყოფილება ახდენს სოფლად მიწებისა და მიწის მოსარგებლეთა რეგისტრაციას მიწისმოწყოფის დამთავრების დაგვარად თვითეულ სოფელში. მიწადმოწყოფის ტეხნიკური აპარატის მიერ ამა თუ იმ სოფლად გამორკვეული ნორმაზე მეტი მიწა უნდა გადაირიცხოს გადასახლების მიწის ფონდში.

9. მიწადმოწყობის განყოფილებასთან დაარსდეს გადასახლების ქვე განყოფილება და დაევალოს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს წარმოადგინოს არსებული წესისამებრ, ორი კვირის განმავლობაში,—ანგარიცხვა გადასახლების საქმის საჭიროებისათვის. ყველა ხარჯი მიწათმოწყობისათვის,—გარდა მე-2 მუხლში აღნიშნულისა, აგრეთვე ხარჯები, მიწათმოწყობის განყოფილების შტატის გადიდებით გამოწვეული, გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან, რისთვისაც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაუყოვნებლივ გაეხსნას საჭირო კრედიტი.

10. მიწათ-მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა: გასამრჯელო სოფლის და თემის კომიტეტების წევრებისათვის, მუშებისა და სადგომების დაქირავებისათვის, მიმოსვლისათვის და სხვ. დაეკისროს სოფლის საზოგადოებათ, თემის კომიტეტის განაწილებისამებრ.

11. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1921 წ. ივლისის 27-ს თარიღითა და 62 №-ით გამოცემული დეკრეტი. გაუქმდეს ყველა სადგილ-მამულო კომისია და ყოველი მათი საქმე, რომლის წარმოებაც დაუმთავრებელია, გადაეცეს კუთვნილებისამებრ სახალხო სასამართლოს ან მიწათ-მოწყობის განყოფილებას.

12. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. ხაზაშვილი.**

1923 წ. თებერვალი 22.

თბილისი-სასახლე.

რადიო-ტელეგრამები

რურის ოლქის ოკუპაცია

ახალი წინ წაწევა ფრანგების.

მოსკოვი. 10 მარტი. ბერლინიდან მიღებულ ცნობებით ფრანგებმა წინ წაიწიეს და დაიკავეს სადგურები, ბოხუმი და ვატტენშტეიდი. გუშინ ფრანგებმა დაიპირეს დორტმუნდის სადგური. წინ წაწევის მიზანია ხელში ჩაიგდონ ნახშირის ახალი მარაგი და რკინის გზის მასალა.

თვით ბავშვებსაც არ იბრალებენ

ბერლინი. 10 მარტი. რეინლანდის კომისიის განკარგულებით, უკანასკნელი ხნის განმავლობაში გადაასახლეს 1,000 კაცი. მათ შორის ბევრია ქალები და ბავშვებიც.

ციხეებში ამწყვდევენ.

ბერლინი. 10 მარტი. ვერდენში ციხეში ჩასვეს 52 კაცი, ბრალდებების წაუყენებლად. ამის გამო გენერალ დეგუტს განუცხადეს პროტესტი.

ფრანგების წინსვლა გრძელდება.

ბერლინი. 10 მარტი. ფრანგების წინსვლა გრძელდება. გამმის მიმართულებით მათ მიერ დაკავებულია გუმბერსბახი და სხვა ადგილები ვუპერში. შემდეგ საფრანგეთის ჯარებმა, გადალახეს რეინი, დაიკავეს რეინაუგოფენი მანჰემანიის მახლობლად. ყველა კერძო ტვირთები და საქონელი გაიტანეს საწყობებიდან მეპატრონეებმა, ფრანგების თავდასხმის შიშით.

ინგლისის სავაჭრო პალატის საჩივარი.

ბერლინი. 10 მარტი. ინგლისის სავაჭრო პალატამ კელნში მიმართა რწმუნებულ ველვუდს საჩივრით, რომელშიაც აღნიშნულია ის დაბრკოლებები, რომელიც შექმნა ინგლისის ვაჭრობისათვის ფრანგების მიერ საბაჟო კორდონის შემოღებამ.

რურის გარშემო

ეკონომიური დამარცხება რურის ავანტიურის.

მოსკოვი. 10 მარტი. რადგანაც რურის ეკონომიური ავანტიურა ცხადათ დამარცხდა, მისი მოწინააღმდეგენი საფრანგეთში მოითხოვენ დაუყონებლივ ლიკვიდაციას.

„ერნუველი“ აღნიშნავს, რომ საფრანგეთი გახდა საზოგადო საყვედურის საგნათ და ნატურით მიწოდების შეწყვეტის გამო განიცდის სერიოზულ ეკონომიურ გაჭირვებას. გაზეთი მოითხოვს ერთა ლიგის შემთანხმებელის როლში გამოსვლას.

შტრეიხბრეხერები არ არიან

მოსკოვი. 10 მარტი. შეთანხმება დოგორტთან, რომელმაც დაივალა 5,000 ამერიკის ზანგების შემოყვანა რურში მაღაროებში სამუშაოთ, არ შესრულდა, რადგანაც შტრეიხბრეხერის აგენტმა დოგორტიმ ვერ შესძლო შეეკრიბა რურში გასაგზავნათ ასი კაციც კი.

ეშინიათ აშკარა პოლიტიკის

მოსკოვი. 10 მარტი. შვეციის რიკსდაგში შეიტანეს შეკითხვა, რომლითაც წინადადება ეძლევა ბრანტინგს აცნობოს დეპუტატებს ერთა ლიგაში მისი გამოსვლის შესახებ რურის საკითხის საქმეში. ბრანტინგი დათანხმდა მოხსენების გაკეთებას მხოლოდ დახურულ სხდომაზე. კომუნისტების ლიდერმა ჩილბუმმა ხაზი გაუსვა თავის სიტყვაში, რომ კომუნისტები ომისა და მალულ დიპლომატიის წინააღმდეგი არიან. მუშათა კლასი შვეციისა, სთქვა მან, მოითხოვს მთავრობიდან იმ პოლიტიკის გატარებას, რომელიც შეეფერება საფრანგეთისა და გერმანიის მუშათა კლასის ინტერესებს.

ამერიკა უარს არ ამბობს თავის უფლებებზე

ამერიკის მთავრობა სარეპარაციო კომისიისადმი ნოტაში მოითხოვს საოკუპაციო არმიაზე გასულ ხარჯების ანაზღაურებას. ნოტაში ამერიკა აცხადებს, რომ ის არავითარ შემთხვევაში უარს არ იტყვის თავის უფლებებზე.

ბონარ ლოუს განცხადება

რომი. 10 მარტი. თემთა პალატაში ბონარ ლოუმ, შეკითხვაზე საპასუხოდ, განაცხადა, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის არ არსებობს არავითარი შეთანხმება, რომელიც რომ უკრძალავდეს საფრანგეთს დასდოს გერმანიასთან შეთანხმება, ვერსალის ხელშეკრულებაზე დამატებით. აკრძალულია მხოლოდ ისეთ სეპარატიულ ხელშეკრულების დადება, რომელიც გამოსცვლის ხელშეკრულების აზრს.

სამხედრო თათბირი

პარიზი. 10 მარტი. საფრანგეთის სამხედრო მინისტრი მაჟინო გაემგზავრა რურში გენერალ დეგუტთან სათათბიროთ, რის შემდეგ გაემგზავრება ბრიუსელში პრემიერთა თათბირზე მონაწილეობის მისაღებად, რომელიც შესდგება ორშაბათს.

შეთანხმება რკინის გზის შესახებ.

ლონდონი. 10 მარტი. ინგლისის საოკუპაციო ძალების სარდალი გენ. გოდლეი ჩავიდა ლონდონში და თან მიიტანა წინასწარი შეთანხმება, რომელიც მან დასდო საფრანგეთის გენერალ პაიოსთან ინგლისის საოკუპაციო ზონაში საფრანგეთის ჯარების გადაზიდვის და საფრანგეთის სამხედრო მატარებლების მიმოსვლის გაადვილების შესახებ. ინგლისის მთავრობამ სცნო შეთანხმება დამაკმაყოფილებლად.

ებერტის განცხადება.

რომი. 10 მარტი. რეიხსტაგში გამოსვლის დროს, გერმანიის პრეზიდენტ ებერტმა აღნიშნა გერმანიის მტკიცე განზრახვა არ გახდეს მონათ.

პროტესტი ოკუპაციის წინააღმდეგ.

რომი. 10 მარტი. შვეციის 12-ე ეკონომიურმა კონფერენციამ გამოაქვეყნა პროტესტი ოკუპაციის წინააღმდეგ.

მუშების უკმაყოფილება.

პარიზი. 10 მარტი. ბერლინიდან მიღებულ ცნობების თანახმად, გერმანიის მუშათა წრეები აცხადებენ პროტესტს მცირე ხელფასის წინააღმდეგ სატრანსპორტო წარმოებებში მოსალოდნელია გაფიცვები.

კომუნისტების დაპატიმრება.

ბერლინი. 10 მარტი. ბრიუსელში, ანტვერპენში, შარლრუაში, ვიტტიხში და გენტში დაპატიმრებულია 40 კომუნისტი, რომელთა შორის პარტიის 3 ლიდერია.

გერმანიის ამბები

ემისიის გადიდება.

პარიზი. 10 მარტი. გამოქვეყნებულ ანგარიშების თანახმად, უკანასკნელ კვირაში გამოშვებულ ბანკნოტების რიცხვი გერმანიაში 399 მილიარდი მარკით გაიზარდა. სულ ხმარებაშია 3.512.800.000.000 მარკა.

ვინ სარგებლობს მარკის კურსის დაცემით.

მოსკოვი. 10 მარტი. კანცლერ კუნოს განცხადებამ იმის შესახებ, რომ მთავრობა ყოველივე ზომებით დაეხმარება მარკის კურსის სტაბილიზაციას, გამოიწვია ბერლინის ბირჟაზე დოლარის დაცემა, რომელიც ფასობდა დღეს 20000 მარკ. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ მსხვილ მრეწველთა და ბანკების ორგანო „ბერლინერ ტაგებლატი“ სასტიკათ ილაშქრებს მარკის კურსის სტაბილიზაციისათვის მთავრობის მიერ გადაჭარბებულ დახმარების აღმოჩენის წინააღმდეგ. გაზეთი აღნიშნავს, რომ ვალიუტის კურსის დაცემა სერიოზულ საშიშროებას უმზადებს გერმანიის ექსპორტს.

კუნოს სიტყვის გარშემო.

მოსკოვი. 10 მარტი. გერმანიის ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პრესა სხვა და სხვა რიგათ, მაგრამ კეთილ-განწყობილებით გამოეხმაურა კუნოს სიტყვას. მემარჯვენე პრესა კმაყოფილებით აღნიშნავს კუნოს მტკიცე პოზიციას საფრანგეთთან მოლაპარაკების საკითხში. სოციალ-დემოკრატიული პრესა, პირიქით, კანცლერის სიტყვაში ხედავს მოლაპარაკების დაწყებისაკენ მისწრაფებას. სასტიკათ ილაშქრებენ კუნოს სიტყვის წინააღმდეგ მხოლოდ უკიდურესი მემარჯვენეთა და კომუნისტების ორგანოები. „როტე ფანე“ აღნიშნავს გერმანიის იმპერიალიზმის წარმომადგენელის კუნოს საფრანგეთის იმპერიალიზმის მხილებელის როლში გამოსვლის უადგილობას. საფრანგეთის იმპერიალიზმს ბრალი დასდოს—სწერს „როტე ფანე“—შეუძლია მხოლოდ რურის ოკუპაციით უშუალოთ შელახულ გერმანიის პროლეტარიატს.

კლარა ცეტკინას სიტყვა რეიხსტაგში

მოსკოვი. 10 მარტი, რეიხსტაგში კუნოს სიტყვის გამო გამართულ კამათის დროს სიტყვა წარმოსთქვა კლარა-ცეტკინსა. კლარა ცეტკინის სიტყვა დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი: მის პროტესტს გერმანიის კოლონიზაცის და რურის ოლქში საფრანგეთის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ დეპუტატები მოწონებით შეხვდენ, ბურჟუაზიულ პარტიების სკამებზედაც კი დეპუტატების ერთი ნაწილი მქუხარე ტაშით შემოეხვიენ ტრიბუნას, რომელზედაც იყო კლარა ცეტკინი. სასტიკი კრიტიკა, რომელსაც ცეტკინი მიმართავდა ბურჟუაზიულ პარტიებსა და სოციალ-დემოკრატიების მიმართ, რეიხსტაგში სიჩუმით იქნა მოსმენილი. უნდა რა მთავრობის პოლიტიკას ერთ ადგილზე გაყინვა, ცეტკინმა აღნიშნა, რომ გერმანიისათვის საბედისწეროა ის ფაქტი, რომ არავის არ შეუძლია ახსნას, ბოლოს და ბოლოს რა უნდა ეთქვა კუნოს. კლარა ცეტკინი დასცინოდა ბურჟუაზიულ და სოციალ-დემოკრატების პოლიტიკოსების იმედებს, რომელსაც ისინი ამყარებენ დემოკრატიულ საფრანგეთზე. კუნოს წუხილის გამო, რომ რურის ოლქში ადგილი აქვს მოკავშირეთა ძალადობასო, კლარა ცეტკინმა მოაგონა რეიხსტაგს გერმანიის ჯარების ყოფაქცევა უკრაინაში ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების შემდეგ და ბურჟუაზიის საქციელი მუშების მიმართ კაპის აჯანყების შემდეგ. კლარა ცეტკინმა მიმართა სოციალ-დემოკრატებს და მოსთხოვა ერთიანი ფრონტის შექმნა. ცეტკინი სასტიკ პროტესტს აცხადებდა ბურჟუაზიის მიერ კომუნისტების სახელმწიფოებრივ დამნაშავეთ აღიარების წინააღმდეგ. „რომ გერმანიის კომუნისტებს თავისი სამშობლო არ უყვარებოდათ“, ისინი დიდი ხნის წინად გაემგზავრებოდენ პროლეტარულ რუსეთში. ცეტკინმა აღნიშნა რურის მუშების გალატაკება, რომელნიც დახმარებას იღებენ რუსეთის მუშებისაგან და დაამთავრა თავისი სიტყვა: „სრული უნ-

დობლობა კუნოს მთავრობას!. ერთიანი ფრონტით ბრძოლის იმედი! პროლეტარიატის სიძლიერის იმედი! გერმანიის პროლეტარიატს ერთი გამოსავალი დარჩენია—იბრძოლოს პროლეტარიატის დიქტატურის და ახალი დიდი გერმანიის შესაქმნელად“.

ახლო აღმოსავლეთში

ოსმალეთის კონტრ-წინადადება.

პარიზი. 10 მარტი. სტამბოლიდან მიღებულ ცნობების თანახმად ანგორის ნოტაში ნათქვამია, რომ ოსმალეთი მოითხოვს კუნძულ ტენდესში მისი სუვერენიტეტის დაწესებას და ოსმალეთში უცხოელების რეპრესიების შეცვლას. ოსმალეთი აგრეთვე მოითხოვს საერთო ხელშეკრულებიდას ზოგიერთ ეკონომიურ საკითხების გამოყოფას. ნოტა წინადადებას იძლევა განახლებულ იქნას საზავო კონფერენცია და მისი მოწვევის ადგილად იქნას დანიშნული სტამბოლი.

მომავალი მოლაპარაკებების შესახებ.

ბერლინი. 10 მარტი. ფიქრობენ, რომ ოსმალეთთან მოლაპარაკების საწარმოებლათ დანიშნული იქნებიან მოკავშირეთა მხრივ კონსტანტინოპოლის უმაღლესი კომისრები და არა ის დელეგატები, ვინც მონაწილეობას იღებდა ლოზანის კონფერენციაზე.

ოსმალეთის კონტრ-წინადადებანი მიუღებელია.

რომი. 10 მარტი. ბონარ ლოუმ განუცხადა პრესის წარმომადგენელთ, რომ ოსმალეთის კონტრ-წინადადებანი მთლიანათ მიუღებელია, მხოლოთ ისინი შეიძლება მიღებულ იქნან საფუძვლად ახალ მოლაპარაკების დროს.

ოსმალეთის კონტრ-წინადადებანი.

ლონდონი. 10 მარტი. „დეილ-მეილის“ კონსტანტინოპოლის სპეციალური კორესპოდინტის ცნობით ოსმალეთის კონტრ-წინადადებანი ეხება მოსულისა და მესოპატამიის ნავთის მომცემ ადგილებს. ოსმალეთის მთავრობა მზათ არის გააგზავნოს თავის დელეგაცია, მაშინვე, თუ მოკავშირეებიდან მიღებული იქნება დადებითი პასუხი.

რა დაუჯდა კონსტანტინეპოლის ოკუპაცია.

ლონდონი. 10 მარტი. ახლო-აღმოსავლეთის კითხვის საჩქაროთ გადაწყვეტის აუცილებლობა სჩანს იქედან, რომ კონსტანტინეპოლის ოკუპაცია დაუჯდა ინგლისის გადასახადთა გადამხდელებს 20 მილიონ გირვანქა სტერლინგათ.

ინგლისის სურვილები.

ლონდონი. ლონდონის წრეების სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობებით, ინგლისს არ სურს ახლათ განიხილოს ოსმალეთის ხელშეკრულობის პირობები, მხოლოთ განზრახული აქვს განიხილოს ის პუნქტები, რომელიც ამ ჟამათ წამოაყენა ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა ყრილობამ.

ამერიკა და ოსმალეთი.

ბერლინი. 10 მარტი. იტყობინებიან, რომ ამერიკას განზრახული აქვს ოსმალეთთან მოლაპარაკების დაწყება მხოლოდ მოკავშირებთან საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ.

პუანკარეს მოხსენება.

პარიზი. 10 მარტი. პუანკარეს განზრახული აქვს მოხსენება დეპუტატთა პალატის გარეშე საქმეთა კომისიაში ახლო აღმოსავლეთის და მემელის საკითხის შესახებ.

საფრანგეთის ამბები

ომის მუქარის წინააღმდეგ.

მოსკოვი. 10 მარტი. საფრანგეთის შრომის უნიტარულ კონფედერაციის მოქმედების კომიტეტი მართავს ამ კვირაში 20 მიტინგს პარიზში და მის მიდამოებში. მიტინგები ჩატარდება ომის მუქარის წინააღმდეგ წამოყენებულ ლოზუნგების ქვეშ.

საგაფიცვო ტალღები.

მოსკოვი. 10 მარტი. საფრანგეთში სიძვირის გაზრდის გამო ხელახლა იწყება საგაფიცვო მოძრაობა. რუანში გაიფიცა 20 000 მუშა-ფეიქარი. ვასენდრეში—1500 მუშა—ლითონის წარმოებისა.

მოქმედების კომიტეტის მოწოდება.

მოსკოვი. 10 მარტი. შრომის უნიტარულ კონფედერაციის ნაციონალურმა კომიტეტმა დაადგინა გააგრძელოს მოქმედების კომიტეტის მუშაობა და მიმართოს ყველა რევოლიუციონურ ორგანიზაციებს მოწოდებით, რათა უკანასკნელებმა მონაწილეობა მიიღონ კომიტეტის მუშაობაში.

ვაშინგტონის კონფერენციის დადგენილებათა რატიფიკაცია.

მოსკოვი. 10 მარტი. ლონდონის წრეებში ამბობენ, რომ საფრანგეთს განზრახული აქვს ვაშინგტონის კონფერენციის დადგენილებათა რატიფიკაცია.

მილიტარიზმის წინააღმდეგ.

მოსკოვი. 10 მარტი. რურის ამბებთან დაკავშირებულ მობილიზაციის გამო, საფრანგეთი და ახალგაზრდობის ცენტრალური კამიტეტი მობილიზაციის საწინააღმდეგო კომპანიას მმართავს. ამ მიზნით არსდება ახლათ გაწვეულთათვის ორი კომუნისტური გაზეთი.

ინგლისში

სამრეწველო ჯგუფის წინადადება.

ბერლინი. 10 მარტი. გაზ. „ტაიმსის“ ცნობით, ინგლისის თემთა პალატის სამრეწველო ჯგუფმა შეიტანა წინადადება გერმანიის და რუსეთის მონაწილეობით მსოფლიო კონფერენციის მოწვევის შესახებ, გერმანიის ვალდებულებათა საბოლოვოდ და საერთაშორისო დავალიანების გამოსარკვევათ და აგრეთვე მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად ვერსალის ხელშეკრულების საფუძვლებზე. გერმანიის პრესა სკეპტიკურად უცქერის ამას.

ინგლისის მოთხოვნილება.

ბერლინი. 10 მარტი. რეინლანდის კომისიის ინგლისის უმაღლეს კომისარმა წარადგინა შემდეგი მოთხოვნილებანი: 1) ინგლისის საქონელის დაუბრკოლებლივი გაშვება გერმანიის, როგორც დაკავებულ ისე დაუკავებელ ტერიტორიაზე და 2) საქონლების დაუბრკოლებლივი გაცვლა გამოცვლა გერმანიის დაუკავებელ ნაწილთა შორის.

შრომის ხელფასის შემცირება.

მოსკოვი. 10 მარტი. გუშინ თემთა პალატაში სწარმოებდა კამათი შრომის ხელფასის მინიმალურ განაკვეთების საკითხის შესახებ. მუშათა პარტიის წევრმა სალპერმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ ორ წლის განმავლობაში ინგლისის მუშების შრომის ხელფასი შემცირდა 12 მილ. გირ. სტერლინგით კვირაში ე. ი. გაუთანასწორდა 1904 წლის შრომის ხელფასს. იმავე დროს მსხვილ წარმოებათა მოგება საგრძნობლად გაიზარდა. ინგლისის კაპიტალისტები უფრო მეტ მოგებას ნახულობენ ვაჭრობის შეჩერებით ვიდრე მისი აყვავებით.

ლოიდ-ჯორჯს პარლამენტარული ხრიკები.

მოსკოვი. 10 მარტი, თემთა პალატაში ლიბერალების ლიდერმა ასკვიტმა, უპასუხა რა ლოირდ-ჯორჯს მის წინაადადებაზე ლიბერალურ ფრაქციის ლიდერთა თათბირის მოწვევის შესახებ, განაცხადა:

„ლიბერალების გაერთიანებას მე ვსთვლი აუცილებლ მოვლენათ, მაგრამ უარყო თუ არა ლოირდ-ჯორჯმა თავისი აზრი ცენტრის პარტიის შექმნის შესახებ? მე და ჩემ მომხრეებს არა აქვთ ადგილი ასეთი პარტიისათვის.

გაერთიანებულ ლიბერალურ პარტიის გამოსვლა მუშათა პარტიების წინააღმდეგ, ჩემის აზრით, ვერ არის სწორი პოლიტიკა. ლიბერალიზმის უმთავრეს პირობათ უნდა ჩაითვალოს ძველ პრინციპებისადმი ერთგულება.

„დეილი ქრონიკლი“ აღნიშნავს, რომ ლოიდ ჯორჯის წინადადებაზე უარის თქმა გამოიწვევს უიმედობას ყველა ლიბერალებთა შორის.

მთავრობის კანდიდატების დამარცხება

მოსკოვი. 10 მარტი. ინგლისის კაბინეტის დამატებითი არჩევნების დროს დამარცხებული წევრები გადადგენ. სამოქალაქო მოხელეების კავშირის მდივნის ბრაუნის აზრით, მინისტრების დამარცხება გამოწვეულია აგრეთვე სამოქალაქო მოხელეების მიერ გაწეულ მთავრობის საწინააღმდეგო კამპანიით, რომელიც აღმოცენდა იმ ნიადაგზე, რომ მთავრობამ უარი სთქვა მიეცა მთავრობის სამსახურში მიღებულ კანდიდატებისათვის თვით ის ძველი მცირეოდენი ჯამაგირიც.

დამარცხების გარშემო.

მოსკოვი. 10 მარტი. კონსერვატიული პრესა ცდილობს ახსნას დამატებითი არჩევნებზე მთავრობის კანდიდატების დამარცხება მით, რომ კანდიდატებათ არჩეული იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც არ იყვნენ დაკავშირებული ადგილობრივ ინტერესებთან.

ბრძოლა ბინის პატრონების წინააღმდეგ

მოსკოვი. 10 მარტი. ინგლისის საზოგადოებრივი წრეები ძლიერ დაინტერესებული არიან იმ მოლაპარაკების შედეგებით, რომელიც პრემიერმა გამართა 33 უნიონისტ დეპუტატთან, რომლებიც მოითხოვდენ კონტროლის გაუქმებას ბინის ქირაზე ბონარლოუმ უპასუხა, რომ აუცილებელი საჭიროა ამ საკითხის გადასინჯვა, მაგრამ ჯანმრთელობის დაცვის ახალი მინისტრის დანიშვნის გამო, ამ საკითხის შესახებ რაიმე განცხადებების შემოტანა, ამ ჟამად არ არის სასურველი.

პოლონეთის ამბები

საფრანგეთის კრედიტები.

მოსკოვი. 10 მარტი. გაზეთების ცნობით საფრანგეთის პარლამენტის მიერ დადასტურებული პოლონეთისთვის გაღებული 400 მილიონ ფრანკის სესხი, ფაქტიურად დანიშნულია სამხედრო შეიარაღებისა და ეკიპიროვკის შესაძენად. პოლონეთს ეძლევა უფლება ამ კრედიტით საფრანგეთის სამხედრო ქარხნებს სამხედრო მასალა შეუკვეთოს. ახალი სესხი შესამჩნევად გაადიდებს პოლონეთის სახელმწიფო ვალს და პოლონეთის ფინანსების მდგომარეობას გაართულებს.

ვის წინააღმდეგ ემზადება პოლონეთი?

მოსკოვი. 10 მარტი. საფრანგეთის სესხის დანიშნულების გაზეთ „რაბოტნიკ“-ის მიერ გამოაშკარავებამ, პოლონეთში დიდი სენსაცია მოახდინა. მოელიან სესხისათვის პროცენტების გადახდის პირობების შესახებ სეიმში შეკითხვის შეტანას. მუშათა პრესა კითხულობს—ვის წინააღმდეგ აწყობს პოლონეთი თავის სამხედრო გეგმებს ან რისთვის სჭირია პოლონეთს საფრანგეთის საომარი მასალა? მთავრობა ამ კითხვებს დუმილით უპასუხებს.

ჩეხო-სლოვაკიის ამბები

„რესპუბლიკის დაცვა“

მოსკოვი. 9 მარტი. რესპუბლიკის დაცვის კანონის განხილვა ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტში დაიწყო დებოშით.

8 კომუნისტი—სლოვაკელი ძალით გაათრია სხდომის დარბაზიდან პოლიციამ და აუკრძალა მათ მონაწილეობის მიღება პარლამენტის რვა სხდომაზე. პრემიერის მოადგილის განცხადებით, ეს კანონი ტარდება დემოკრატიის დაცვის და სახელმწიფოს გაერთიანების მიზნით და მიმართულია ნაციონალურ, სოციალურ და რელიგიური შუღლის გაღვივების და აგრეთვე მონარქისტების მიერ დიქტატურის ხელში ჩაგდების ცდის წინააღძდეგ.

ვენგრიის და გერმანიის სოციალ-დემოკრატებმა განაცხადეს, რომ ისინი განაგრძობენ მომავალშიაც დაუღალავ და გადამჭრელ ბრძოლას ამ კანონის წინააღმდეგ, რომელიც ტერორით ემუქრება პოლიტიკურ და ნაციონალურ უმცირესობებს. გერმანიის ბურჟუაზიულმა პარტიებმა გამოაქვეყნეს დეკლარაცია, რომელშიაც სასტიკად ჰკიცხავდენ კანონს, და ვენგრიელებთან ერთად დემონსტრატიულად დასტოვეს სხდომის დარბაზი. კანონის წინააღმდეგ გაილაშქრეს აგრეთვე სლოვაკიის კლერიკალებმა. ხილოსნების პარტიამ და ჩეხიის დამოუკიდებელმა სოციალ-დემოკრატებმა განაცხადეს, რომ კანონი საფრთხეს უმზადებს პროფკავშირებს და ხალხის უმრავლესობა მის წინააღმდეგ იქნება, **კომუნისტმა ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კანონი აბუჩათ იგდებს კონსტიტუციას, გამსჭვალულია სიძულვილით პროლეტარიატისადმი და აწესებს საბოლოოდ კულისების რეჟისორების კოალიციის დიქტატურას.** კრამარუმა განაცხადა, რომ მას კანონი ძლიერ სუსტად მიაჩნია და აუცილებელია ბოლო მოეღოს სახელმწიფოში შუღლის გაჩაღებას, რომელსაც ატარებენ კომუნისტები. ნაციონალურ-სოციალისტური ფრაქციის ფრთამ პროტესტი განაცხადა მთავრობის უმრავლესობის დეპუტატების ხმის მიმცემ ავტომატად გადაქცევის წინააღმდეგ, რომელიც ემორჩილება ზევიდან ნაკარნახევ ბრძანებებს და შეიტანა კანონში მთელი რიგი შესწორებისა. შესწორებები უარყოფილ იქნა, რის გამოც ამ ფრაქციის ფრთამ უარი სთქვა კანონისათვის ხმის მიცემაზე. **მიუხედავად ამისა კანონი მიღებულ იქნა მთავრობის კოალიციონურ პარტიების ხმით** 4 მემარცხენე ნაციონალისტი, რომლებმაც უარი განაცხადეს კანონისათვის მხარის დაჭერაზე, გამორიცხეს ნაციონალურ-სოციალისტურ ფრაქციიდან. გაზ. „ტრიბუნა“-ს აზრით, ეს უსათუოდ გამოიწვევს ნაციონალურ-სოციალისტურ პარტიის გათიშვას, ვინაიდან მემარცხენეებს მხარს უჭერს პროფკავშირების ნაწილი.

„რესპუბლიკის დაცვის“ კანონის წინააღმდეგ.

მოსკოვი. 9 მარტი. გაზეთ „ტრიბუნა“-ს ცნობით, ქალაქ ბერნში პოლიციას შეტაკება ჰქონდა კომუნისტებთან, რომლებმაც დემონსტრაცია გამართეს „რესპუბლიკის დაცვის“ ახალი კანონის წინააღმდეგ.

სხვადასხვა ამბები

პროლეტარული სოლიდარობა.

ბერლინი. 10 მარტი. ნიუიორკის აზეთების ცნობით საფრანგეთის მთავრობამ მიანდო თავის აგენტს დაიქირავოს ამერიკაში 5000 ნეგრი რურის ოლქში სამუშავოთ. მაგრამ ეს განზრახვა არ გამართლდა. რადგან ჩააწერათ გამოცხადდა სულ მეორე ინტერნაციონ

ზოგიერთებისათვის ხელსაყრელია.

მოსკოვი. 10 მარტი. რურის ოლქის დაკავებამ გამოიწვია გერმანიის მიერ რკინის ნაწარმოებების შეკვეთა ჩეხო-სლოვაკიაში, რის გამო ჩეხო-სლოვაკიის მეტალურგიული მრეწველობა გაუმჯობესდა. მაგრამ ნახშირის მრეწველობაში ასეთი გაუმჯობესება არ ეტყობა. ჩეხო-სლოვაკიის მანქანების აღმშენებლების მრეწველობა აგრეთვე იღებს შეკვეთას გერმანიისაგან.

ამერიკა

მოულოდნელი განცხადება.

მოსკოვი. 10 მარტი, ამერიკის ვაჭრობის მინისტრმა გუვერმა—კერძო ინიციატივის თავისუფლების ცნობილმა მომხრემ მოულოდნელი განცხადება გააკეთა: „ამერიკის ხალხს არ შეუძლია კიდევ ითმინოს ტრანსპორტის არსებული მოუწესრიგებლობა. თუ კერძო რკინის გზების გამგეობებმა არ მიიღეს სათანადო ზომები, მთავრობა იძულებული იქნება ხელთ აიღოს რკინის გზებზე კონტროლი“.

ავსტრია

პოლიტიკურ რეაქციის გაძლიერება.

მოსკოვი. 10 მარტი. ავსტრიაში პოლიტიკური რეაქცია ძლიერდება. ეს სჩანს განსაკუთრებით მოსწავლეთა შორის, რომლებიც აარსებენ ე. წ. „ტეხნიკურ დახმარებას“. ეს ორგანიზაცია ისახავს წმინდა შტრეიკბრეხერულ მიზნებს. გაზეთ „არბეიტურ ციტუნგ“-მა გამოაქვეყნა ამ ორგანიზაციის საიდუმლო წესდება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ორგანიზაცია უნდა გახდეს საყოველთაო გაფიცვის საწინააღმდეგო იარაღათ. ბურჟუაზიული პრესა კეთილათ არის განწყობილი შტრეიკბრეხერთა ორგანიზაციების მიმართ.

რუსეთს გვერდს ვერ უვლიან

მოსკოვი. 10 მარტი. მემორანდუმი, რომელიც შედგენილია პარლამენტის კომისიის მიერ საერთაშორისო ვალების საკითხის შესახებ, აღნიშნავს, რომ საჭიროა ვისარგებლოთ რუსეთში პოლიტიკის შეცვლით და გადავიდეთ მასთან ეკონომიურ შეთანხმებაზე. შეთანხმება საფრანგეთთან უფრო ძნელია, ვინაიდან საფრანგეთი ფიფქრობს მხოლოდ თავის-თავის დაცვაზე. ევროპის აღდგენა უნდა დაიწყოს საერთაშორისო ვალის საკითხის გადაჭრით.

მემორანდუმი უარყოფს ერთა ლიგის მიერ ვალის საკითხის მოგვარების შესაძლებლობას და მოითხოვს ამ მიზნით ამერიკის მიერ მსოფლიო კონფერენციის მოწვევას, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებენ გერმანია და რუსეთი. მემორანდუმი მოითხოვს გამონაგარიშებული იქნეს გერმანიის რეპარაციების საერთო ჯამი 2,663 მილ. გირ. სტერ. და მას მიემატოს ის თანხა, რომელიც საჭიროა საფრანგეთის, ბელგიის და იტალიის დანგრეულ რაიონების აღდგენისათვის ამისათვის გერმანიას გარანტიები უნდა მიეცეს რურის დაუყოვნებლივ ევაკუაციისათვის. მემორანდუმის იმ მუხლებში, რომელიც შეეხება რუსეთის საკითხს, აღნიშნულია, რომ როგორც სჩანს საბჭოთა მთავრობას ამ ჟამად შეუძლია სათანადო გარანტიების მიცემა, რასაც შეუძლია გამოიწვიოს სხვა სახელმწიფოების მიერ მისი ცნობა.

მემორანდუმი რუსეთის შესახებ აყენებს შემდეგ დებულებას: „სახელმწიფოებმა არ უნდა შელახონ რუსეთის სუვერენიტეტი, ხოლო რუსეთმა თავის მხრივ—მათი სუვერენიტეტი, უცხოელებს უნდა ეძლეოდეს კერძო ინიციატივის ჩვეულებრივი უფლებები, „სამართლიანობის“ ინტერესებით. უცხოეთის ქვეშევრდომებმა უნდა მიიღონ დაკმაყოფილება მათთვის ჩამორთმეულ ქონებისათვის, რაც ვრცელდება [illegible] თის კაპიტალზე, რომელიც მიეცა რუსეთის [illegible] ბის უზრუნველყოფის მიზნით. მემორანდუმის ავტორების აზრით, მათ მიერ წამოყენებული ზომები ხელს შეუწყობს ერებში კომერციული განწყობილების ზრდას და ჩამოაშორებს მათ დაპყრობით ტენდენციებს, ხოლო რუსეთის მონაწილეობა და მიღწეული საერთო შეთანხმება საშუალებას მოუსპობს საფრანგეთს განაგრძოს შეიარაღება, რომელიც ჯერ-კიდევ 22 წელს დაჯდა 200 მილ. გირ. სტერ.

მუშები ემზადებიან თავის წინამძღოლის რუს. კომპარტიის იუბილესათვის

მოსკოვი. 10 მარტი. ვიტებსკიდან, გომელიდან, როსტოვიდან, რიაზანიდან და სხვა ქალაქებიდან მოსული დეპეშა იტყობინება, რომ მუშები ემზადებიან რუსეთის კომპარტიის 25 წლის იუბილესათვის. ყველგან ტარდება კამპანიები, მუშების და გლეხების გასაცნობათ პარტიის ისტორიასთან და იმართება მიტინგები და კრებები.

პერმში მუშათა და მუშა ქალების მრავალ რიცხოვანმა კრებამ დაადგინა იუბილეს დღეს მიესალმოს რუს. კომპარტიას, როგორც მუშათა კლასის ერთად ერთ პარტიას. 14 მარტს სარაიონო ორგანიზაციების საზეიმო სხდომაზე პარტიაში შედის 37 მუშა.

სამარაში პარტიის იუბილეს დღისათვის გაიმართება მოგონებების საღამოები, რომელიც გააშუქებს პარტიის მოღვაწეობის მთავარ მომენტებს.

დიდ უსტიუგში იუბილეს დღისათვის გაიმართება, პარტიის არალეგალურ მუშაობის სურათების, პარტიის უხუცეს წევრთა და პორტრეტების არალეგალურ სტამბების სურათების გამოფენა. რიაზანის რკინის გზელებმა დაადგინეს რუს. კომპარტიის იუბილეს დღეს წითელი დროშა გადასცენ რიაზანის საგუბერნიო კომიტეტს.

კიევის საგუბერნიო კომიტეტმა მიიღო პოდლისოვის თემის უპარტიო გლეხთა კონფერენციისაგან ბარათი, რომელშიაც ნათქვამია, რომ კავშირი მუშებსა და გლეხებს შორის განხორციელებულია.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

მასწავლებლები-კომუნისტები.

მოსკოვი. 10 მარტი. ზაპოროჟიეში 7 მარტს მოხდა მასწავლებელ კომუნისტების პირველი გამოშვება, რომელთაც დაამთავრეს კურსები.

სალამი კანადიდან.

მოსკოვი. 10 მარტი. უკრაინის კომუნისტური პარტიის სახელზე მიცემულია კანადიდან მუშათა პარტიის უკრაინის სექციის კონფერენციის მისალმება. მისალმებაში კონფერენცია ამბობს, რომ იგი უგზავნის მხურვალე სალამს პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის მოწინავე მებრძოლებს. „ვაფასებთ რა თქვენ მძიმე მუშაობას და მუშათა კლასისადმი ერთგულებას, ჩვენ დარწმუნებული ვართ გამარჯვებაში, რომელიც დახმარებას გაუწევს მსოფლიო პროლეტარიატს განთავისუფლდეს კაპიტალისტებისაგან და შეუდგეს კომუნისტურ აღმშენებლობას.

განძეულობის დამფარველნი.

მოსკოვი. 10 მარტი. ადესაში საეპარქიო ქალაქში, აღმოჩენილია ძვირფასი ნივთების მუზეუმი და დიდი ბიბლიოთეკა, რომელიც მღვდლების მიერ იყო გადამალული. განძეულობა გადაეცა საგუბერნიო პოლიტგანაოლების განყოფილებას.

რუსეთის მუშები რურის მუშების დასახმარებლათ.

მოსკოვი, 10 მარტი. გაზ. „ტრუდ“ სტატიაში „პროლეტარული სოლიდარობა“ მოუწოდებს საბჭოთა რუსეთის მუშათა მასებს დაეხმარონ რურის მუშებს. სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს დადგენილებას,—რომ საფრანგეთის ოკუპანტებისა და თავის საკუთარ ბურჟუაზიის წინააღმდეგ მებრძოლ რურის მუშებს გადაეცეს ერთი მილიონი ფუთი პური,—აქვს უდიდესი მნიშვნელობა საერთაშორისო პროლეტარიატისათვის საერთოდ და გერმანიის მუშებისათვის კერძოთ. ოქტომბრის რევოლიუციის მე 6 წლის დასაწყისში, როდესაც ევროპის დაშლა დღითი-დღე იზრდება, რუს. საბჭ. ფედ. სოც. რესპუბლიკის პროლიტარიატი გამოდის აღმშენებლობის ფართო გზაზე და შეუძლია თავის მარაგიდან დასავლეთის პროლეტარიატს გაუწიოს საგრძნობი დახმარება სურსათით. კავშირთა ორგანოებმა, სწერს „ტრუდ“, არა მარტო ფული და ძვირფასეულობა უნდა შეაგროვონ, არამედ უნდა გამოჰყონ ნაწილი თავის პურის მარაგიდან, რომელიც ბევრ პროფკავშირებს აქვს. საგიტაციო კამპანია დაუყოვნებლივ უნდა

უკრაინაში მიღებული ჩემი შთაბეჭდილებანი და ნააზრევი *)

თ 30 Ш.

უახლოესი გზით კომუნიზმისაკენ.

დაუბრინდები ჩემს იდეიურ ძიებათა ისტორიას, უკრაინაში ყოფნის დროს განცდილსა და გავიმეორებ:

დიდიდი ხნის წინეთ, უკვე 1919 წელს, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ბოლშევიკებთან კამათის ერთ საკითხში ჩვენ სასტიკათ შემცდარი ვიყავით, სახელდობრ: მსოფლიო კონტრ-რევოლიუციის მძლავრი შემოტევა შეუძლია აიტანოს მხოლოთ რკინის დიქტატორულ ხელისუფლებას. მიუხედავათ ამისა მე კიდევ დიდხანს ვმერყეობდი მენშევიზმისა და ბოლშევიზმის შუა, რადგან საოწარკვეთილებას მგვრიდა ოქტომბრის რევოლიუციის პირველი წლების ეკონომიური პოლიტიკა, ეკონომიურათ და კულტურულათ დაქვეითებულს და დაქცეულ ჩვენს ქვეყანაში დაუყოვნებლივ და მ-ელის სივრცით კომუნიზმის განხორციელების ცდა.

არსებითად მე, როგორც ძველს მენშევიკს, უნდა გამეგო, რომ ოქტომბრის რევოლიუციის პირველ წლების ეკონომიური პოლიტიკა თითქმის ძალით ნაკარნახევი იყო გარემოებებით, რომ აქ ბოლშევიკების უბედურება უფრო იყო, ვიდრე მათი დანაშაული. მენშევიკები, და მათ შორის ყველაზე მეტათ მე, ხომ ყოველთვის ვღრდით და ვამბობდით, თანახმათ ენგელსის ცნობილ ისტორიულ დასკვნისა: უკეთუ სოციალ-დემოკრატიული პარტია ჩვენს ეკონომიურათ დაქვეითებულს ქვეყანაში ხელთ იგდებს რევოლიუციონურის გზით ძალა-უფლებას, ის **იძულებული იქნება** განახორციელოს თავისი პროგრამა სავსებით, მიუხედავათ იმისა, რომ ქვეყანა ამისთვის ჯერ არ არის მომზადებული. სწორეთ ამიტომ მენშევიკები ყოველთვის ერიდებოდენ ისეთ მდგომარეობას, რომელიც აიძულებდა მათ ხელში აეღოთ ძალაუფლება. სწორეთ ამიტომ ქინიანობდენ მენშევიკები „ძალა-უფლების ხელში ჩაგდების“ წინააღმდეგ თვით ოქტომბრის რევოლიუციის წინა ხანებშიაც, როდესაც კოალიციონური მთავრობა საბოლოვოთ გაკოტრდა, როდესაც რევოლიუცია ჩიხში მოემწყვდა და როდესაც ყოველ მარქსისტისათვის ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ ხელისუფლების რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიისათვის გადსვლის გარეშე, შეუძლებელი იქნება თვით ბურჟუაზიულ რევოლიუციის პროგრამის განხორციელება.

ვიმეორებ, ჩვენივე მენშევიკური თეორია ამბობდა. უკეთუ ძალა-უფლება რევოლიუციონური გზით რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიისაკენ გადავა, უკანასკნელი იძულებულია დაუყოვნებლივ სოციალიზმის განხორციელებას შეუდგეს, მიუხედავათ ეკონომიურ შესაძლებლობათა სიმცირისა. ოქტომბრის რევოლიუციის პირველ 9 თვეში ჩემს წინ გადაშლილი სურათი, მხოლოდ ადასტურებდა, რომ გარემოებებმა თითქმის ძალით წაიყვანეს საბჭოთა ხელისუფლება კომუნიზმის გზაზე.

მე ვნახე როგორ ცდილობდა კონტრრევოლიუცია შიმშილით ამოეხოცა საბჭოთა რუსეთი, როგორ თავიდანვე მოსწყვიტა იგი სურსათ-სანოვაგის მთავარ წყაროებს—უკრაინა, დონს, ყუბანს, ვოლგის განაპირა ადგილებსა და ციმბირს. მე ვხედავდი, რომ პეტერბურგისა და მოსკოვის პროლეტარიატს და ცენტრალურ რაიონის ღარიბ გლეხობას შიმშილისაგან სიკვდილი უქადიდა. მე ვხედავდი მეორე მხრით, თუ როგორ აიძულებდა ამ საშინელ პირობებში პურისათვის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებას პროლეტარიატის არსებობის შესანარჩუნებლათ ესარგებლა უკიდურესი ზომებით, როგორიც არის: მაღაზიებში საქონელთა მთელი მარაგის კონფისკაცია, რათა ეს მარაგი სოფელში პურზე გადაცვლილიყო, კლასობრივ „პაიოკის“ დაწესება, სასურსათო რაზმების და ღარიბ გლეხობის კომიტეტების ორგანიზაცია; რომლებიც მუშებთან ერთად სოფლის „კულაკობის“ წინააღმდეგ უნდა ებრძოლათ. უკვე ეს პირველი, გარემოებით გამოწვეული ზომები უკარნახებდენ საბჭოთა ხელისუფლებას შემდგარიყო სურსათის განაწილებისა და მთელი ვაჭრობის ნაციონალიზაციის გზაზე, რაიც, შემსყიდველ აპარატის მოუწესრიგებლობის გამო, სოფლიდან ზედმეტი სურსათის გამოზიდვისა და მიჩანშეწონილ განაწილების ერთად ერთი სანდო საშვალება იყო. ამნაირათ მივიდა საბჭოთა ხელისუფლება მოხმარებითი კომუნიზმის სისტემამდე, რომელმაც, როგორც შემდეგ გამოირკვა, ჩვენი ეკონომიურ ჩამორჩენილობის გამო, მოუსპო გლეხობას მიწათ-მოქმედებისადმი იმპულსი და სახალხო მეურნეობის საფუძველი შეარყია, მაგრამ, სამაგიეროთ, კრიტიკულ პერიოდში უზრუნველჰყო, თუნდაც-ნახევრად მშიერ ულუფით, რევოლიუციის მთავარი ძალები—პროლეტარიატი და წითელი არმია.

ეს იყო გარემოებათა საბედისწერო შეკავშირება. მე ვხედავდი, თუ როგორ ჩამოყალიბდა კერენსკის ეპოქაში პროლეტარიატის კაპიტალისტთა საბოტაჟის წინააღმდეგ და მუშათა კონტროლისათვის სტიქიური ბრძოლა, ასეთივე სტიქიურ ქარხნების ჩამორთმევის დროს მუშებს არ ესმოდათ მათ წინ წარმომდგარ ეკონომიურ ამოცანათა სირთულე და სიძნელე. მათ არა რა გაეგებოდათ იმ დაბრკოლებების, რომლებიც შეხვდებოდათ მათ და რომლებმაც შემდგომ აიძულა ხელისუფლება ზოგიერთი პოზიციები დროებით დაეთმო. მაგრამ ქარხნების ჩამორთმევას. აღვიძებდა მუშებში დიად ენტუზიაზმს და ანთებდა მათ გულში იმ რწმენას, რომელიც მთებსა სძრავს და ურომლისოდაც ისინი ვერ აიტანდნენ კონტრევოლიუციასთან სამი წლის გმირულ ბრძოლას.

მე არა ერთი შემთხვევა მქონდა პირადათ დავრწმუნებულვიყავ, თუ რაოდენ დიდი იყო ოქტომბრის რევოლ უციის დასაწყისში თავის ძალებისადმი პროლეტარიატის რწმენა. როდესაც მე დამფუძნებელ კრების მოწვევის წინა დღით ვეუბნებოდი მუშებს რკინის გზელთა ყრილობაზე, რომ კომუნიზმისაკენ სწრაფი ნაბიჯით წინსვლის პირობებში, ისინი ვერ შესძლებენ წარმოების მოგვარებას, ერთმა მუშამ, პოლემიკურ ქინიანობას სრულიად მოკლებულმა, გულწრფელი კილოთი მიპასუხა: „ამხანაგო, თქვენ ძველი გამოცდილებით მსჯელობთ ჩვენზე, თქვენ არ იცნობთ თანამედროვე რუს მუშას, არ იცით რა რიგ გაიზარდა ის, ეხლა მას ყველაფერი შეუძლიაო“. როდესაც მე უფრო ადრე, ქალ. ტულის ვაზნების ქარხანაში გამოვსთქვი აზრი, რომ კომუნიზმისაკენ თავბრუ დამსხმელი, გამალებული მისწრაფება უმუშევრობა და შიმშილამდე მიგვიყვანს, მუშა ქალებმა, უკვე ხანში შესულნი, გაჭირვებისა და შრომისაგან დაქანცულ სახეებით, სიტყვა შემაწყვეტინეს: „არა გვიშავს რა, ამხანაგო, მოვითმენთ, უჩვეული ხომ არ ვართ“-ო.

ამგვარ საომარ ატმოსფერაში მმართველობის საჭესთან მდგომი ბოლშევიკური პარტია თვით გაიმსჭვალა რევოლიუციონურ ილიუზიებით და კომუნისტურ აღმშენებლობაში ჩართული არ ფიქრობდა, რომ ეს ჯერჯერობით მხოლოდ „სამხედრო კომუნიზმია“, რომ ჩვენ შორს უკან დახევა მოგვიხდება, რათა სოციალიზმი პოლიტიკურ გამარჯვებით გაწმენდილ ასპარეზზე კაპიტალიზმთან მეტოქეობის გზით განვახორციელოთ.

დღეს, როდესაც კომუნიზმის დაუყოვნებლივი და სავსებითი განხორციელების პოლიტიკა წარსულში დარჩა, ჩემთვის ცხადია, თუ რა რიგ იძულებითი გარეშე აუცილებლობას წარმოადგენდა იგი, თუ რა რიგ ფსიქოლოგიურათ აუცილებელი იყო იგი მუშათა მასებში რევოლიუციონურ ენტუზიაზმის განმტკიცებისათვის, რომ ის გამოწვეული იყო საომარ ატმოსფერით გაღენთილ და დასავლეთში რევოლიუციის მოახლოვებაზე გადამეტებულ იმედებით აღფრთოვანებულ ხელისუფლების მიერ. დღეს, ჩემთვის ეს ნათელია და ამის შესახებ მე დაწვრილებით წიგნის მეორე ნაწილში ვისაუბრებ. მაგრამ მაშინ, როდესაც კომუნიზმისაკენ გაქანებული მისწრაფება ჩემ თვალ წინ სწარმოებდა, მე ვერ ვაფასებდი მას ობიექტიურათ და სრულიად ეკონომიურ და პოლიტიკურ თვალსაზრისით. პეტერბურგსა და მოსკოვში ყოფნის დროს მე ვხედავდი იმ ძალებს, რომლებიც ამოძრავებდენ საბჭოთა ხელისუფლებას კომუნისტურ გზაზე, მაგრამ დიქტატურის ყოველივე მეთოდის წინააღმდეგ განწყობილმა მენშევიკურმა ცრუმორწმუნეობამ დააბნელა გონებაში ის, რასაც ვხედავდი. როდესაც უკრაინაში ჩამოსვლის შემდეგ, კონტრრევოლიუციის თარეშის შთაბეჭდილების ქვეშ მე პრინციპიალურად შევურიგდი დიქტატურის რევოლიუციონურ მეთოდებს, თვით მიზეზები, რომლებსაც აამოძრავეს საბჭოთა ხელისუფლება კომუნიზმის გზაზე, გაჰქრენ ჩემს თვალთხედვის სფეროდან და ნისლიან წარსულში გადავიდნენ: უკრაინას, ხომ არ უხდებოდა პურისათვის თავგამოდებული ბრძოლა, პირიქით, რევოლიუციონური მოსკოვი უკრაინიდან პურის გადმოზიდვას სცდილობდა.

ამიტომაც უკრაინაში ყოფნის დროს მე არ ჩავკვირებივარ ღრმათძველი ეკონომიურ პოლიტიკის **პოლიტიკურ მიზეზებს**, მთელს ჩემს ყურადღებას ამ პოლიტიკის უშუალო ეკონომიური შედეგები იპყრობდენ და, უფიქრდებოდი რა მას ამ თვალსაზრისით, ხელსახებად ვრწმუნდებოდი, რომ ეს პოლიტიკა უფსკრულისაკენ მიგვაქანებს. უკრაინაში ცხადლივ ვხედავდი, რომ ეს პოლიტიკა, რომელიც ცდილობდა მთელი წვრილი გლეხური მეურნეობას სასტიკი აღრიცხვისა, და კონტროლის ფარგლებში მოეთავსა, გლეხებს საბჭოთა ხელისუფლებას აშორებდა და მათში მეურნეობისადმი გულცივობას იწვევდა. ეს პოლიტიკა, რომელიც ცდილობდა ეკონომიურ ცხოვრების მოწესრიგებას, მასში გეგმაშეწონილების შეტანას, წვრილბურჟუაზიულ სტიქიის შეურყეველ წინააღმდეგობის გამო წინააღმდეგ შედეგებს—მეურნეობის გაორკეცებულ რღვევას იწვევდა. ეს პოლიტიკა კომუნიზმის ჩანერგვის მაგიერ, აღნიშნულ მიზეზების გამო, ქმნიდა გასაოცარ პარაზიტულ ბიუროკრატიზმს ცარიელ ადგილზე, იმ ბიუროკრატიზმს, რომლის შესახებ გულდაწყვეტილმა ზინოვიევმა ერთხელ მახვილი სიტყვა სთქვა: „ჩვენი ბიუროკრატიზმი შავ ჭირზე, ხოლერაზე, მემარჯვენე ესერებზედაც კი უარესია“-ო.

ჩემთვის ეს გარემოება მით უფრო თვალსაჩინო იყო, რომ მე იმ რაიონში ვცხოვრობდი, სადაც „კულაკობა“ რევოლიუციას ჯერ ვერ გაუტეხავს, საშუალო სახსრის გლეხები კი მეტის ინდივიდუალიზმით საკუთრებისადმი მისწრაფებით იყვენ გამსჭვალული, ვიდრე ველიკოროსიაში. ჩემთვის ეს უფრო ნათელი გახდა კიდევ იმიტომ, რომ მე შაქრის მრეწველობის რაიონში ვცხოვრობდი, სადაც საქარხნო წარმოება და სასოფლო მეურნეობა მჭიდროთ გადახლართული არიან და სადაც პროლეტარის მუშაობა ყოველ ფაზაში შეფარდებულია გლეხების მუშაობასთან.

როგორ გამოეხმაურა გლეხობა კომუნისტების ძველს ეკონომიურ პოლიტიკას? როდესაც პეტლიურელები შეეცადენ გლეხობის ნაციონალისტურ ძარღვს შეხებოდენ, მათ ვერავითარ კეთილ შედეგს ვერ მიაღწიეს. პეტლიურელების ერთ-ერთ შემოტევის დროს, მე გავიგონე ერთ ქუჩის პოლიტიკოს—„სამოსტიინიკისაგან“ ცინიკურათ გულახდილი ჩივილი:

„ჩვენი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ უკრაინელ გლეხობას ჯერ არ აქვს არავითარი ეროვნული თვითშეგნება. ჩვენი სოფლელი ძიები ამბობენ: ჩვენ და მოსკოველებიო ფრონტზე ერთი ქვაბიდან ვჭამდით ქაშსაო და რა უნდა გვქონდეს მათთან გასაყოფიო. ჩვენი საკუთარი უკრაინის შესაქმნელათ ჩვენ უცხოეთის ჯარი უნდა მოვიწვიოთო. როდესაც უცხოელი ჯარი უფსკრულს ამოთხრის ჩვენსა და მოსკოვის შუა, ჩვენი გლეხობაც თანდათან შეურიგდება იმ აზრს, რომ ჩვენ ცალკე ერს წარმოვადგენთო“

უკრაინის წვრილ ბურჟუაზიულ ინტელიგენციის—სახალხო მასწავლებლების, კოოპერატორების, ფერშლების და სხვათა—შოვინისტური პროპაგანდა, რომლის მიზანი იყო ძლიერ და მრავალრიცხოვან რუსის ინტელიგენციის მეტოქეობის თავიდან აცილება, გლეხობაში გამოძახილს არ ჰპოულობდა. მაგრამ მდგომარეობა უცებ შეიცვალა, როდესაც უკანასკნელი სასურსათო განაწილებას და თავისუფალ ვაჭრობის სრულ აკრძალვას გაეცნო, როდესაც პეტლიურელებმა აგიტაცია ახალი ეკონომიური ლოზუნგით დაიწყეს: ძირს კომუნაო!—გუშინდელი ბოლშევიკ-გლეხებმა, „კულაკების“ ხელმძღვანელობით მყისვე იკავეს ფრონტი. ახალგაზრდობამ წითელ არმიიდან დეზერტირობა და ბანდების შედგენა დაიწყო და ხანშესული გლეხებმა კი საბჭოთა ხელისუფლების ყოველ ღონისძიებას მტკიცე პასიური წინააღმდეგობა გაუწიეს. გლეხებმა უარი განაცხადეს საბჭოთა ფულის მიღებაზე. პურის მონოპოლიის ფრონტი მრავალ ადგილას ირღვეოდა, გლეხები თავის ნაწარმოებს ჩუმ-ჩუმათ ყიდიდა, ისიც კიდევ გაასკეცებულ ფასათ, ვერცხლზე, „ნიკოლაევკებზე,“ „კერენკებზე“, შაქარზე, მარილსა და არაყზე და ეს ფასები საკონტრაბანდო ჯილდოს დამატებით მშრომელთათვის უფრო და უფრო ნაკლებ მისაწვდომი ხდებოდა, გლეხები იმუქრებოდენ, რომ ყანებს დაუმუშავებლათ დასტოვებენ და მართლადაც ადგილ-ადგილ სათეს მიწას ამცირებდენ. ტვითრზიდვის ბეგარის თავიდან ასაცილებლათ, სამხედრო ნაწილების მოახლოებისთანავე, ცხენებსა და ხარებს ისინი ღამის სათევარზე ყანაში სდევნიდენ, ურმებს კი ნაწილ-ნაწილათ შლიდენ და ცალკე ნაწილებს—ბორბლებს, უღელსა და სხვებს სხვა და სხვა ადგილას მალავდენ.

გლეხობის მტრულ განწყობილებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი, დამღუპველით გავლენა ჰქონდა შაქრის ქარხნებზე, რომლებსაც უამისოდაც ძლივს სული ედგა. წინეთ შაქრის ქარხნებზე დღიური მუშაობა—თოხნა, თხრა, პლანტაციებიდან ჭარხლის ზიდვა, საყანო მუშაობა ქარხნების მიერ იჯარათ აღებულ მეურნეობაში—საგლეხო მეურნეობისათვის დიდს დახმარებას წარმოადგენდა და გლეხები აფასებდენ მას, ეხლა კი მათ ეჭვი დაებადათ. როდესაც ქარხნებმა შეეცადეს გაეცათ გლეხებზე ჭარხლის ყანები იმ პირობით, რომ უკანასკნელებს ქარხნებისათვის ჭარხლის განსაზღვრული რაოდენობა ეძლიათ, გლეხებმა ამ ეჭვის მიზეზით არ მოისურვეს ქარხნებთან საქმის დაჭერა და ყანების მიღებაზე უარი განაცხადეს. ქარხნის პლანტაციებზე ისინი სრულიათ უხვავოთ მუშაობდენ—ერთი დესეტინა ჭარხნის დასამუშავებლათ 50 მუშის მაგიერ (მშვიდობიან დროის ნორმა) საჭირო გახდა 150 და მეტიც. ამავე დროს მუშა ხელის შოვნა ძალიან გაძნელდა—კრედიტში და, საერთოთ, საბჭოთა ფულზე მუშაობაზე გლეხები ცივ უარს აცხადებდენ.

რათა განვთავისუფლებულიყავით გლეხებისაგან სრულ დამოკიდებულებისაგან და გვეჩვენებინა მათთვის, რომ ჩვენი ძალითაც შეგვეძლო საქმის მოგვარება, ქარხნის ადმინისტრაციამ ერთხელ მოსავლის შეკრების დროს დაადგინა გაემართა, დემონსტრაციის, სახით შრომის ბეგარა ქარხნის ყველა მუშა-მოსამსახურეებისათვის. მე სავსებით უთანაგრძნობდი ამ ზომას და, როგორც ქარხნის მოსამსახურე, (ქარხნის სკოლის მასწავლებელი და წიგნთსაცავის გამგე), მონაწილეობა მივიღე საყანო მუშაობაში, თუმცა ხნოვანობა განთავისუფლების საშუალებას მაძლევდა. ვფიქრობდი, რომ ჩვენ, ქარხნის მშრომელნი, გულმოდგინეობით უცოდინარობას შევავსებდით. სამწუხაროთ ეს განზრახვა ბავშვური თამაში ყოფილა. ეკონომიებში ქერის მოკრებაზე სამი დღის, და ქარხნისათვის ტყის დამზადებაზე ერთი დღის გულმოდგინე მუშაობისათვის მე მივიღე ორი კოლოფი ასანთი და მეოთხედი არშინი ჩითი!

მიუხედავათ ამისა შრომის ბეგარამ მხოლოთ ავნო ქარხანას—გამოცდილმა მოსამსახურეებმა, აუარებელი ხორბალი დაფანტეს რა, საჭირო გახდა ისევ გლეხებთან თაყვანის საცემათ მისვლა.

გეგმაშეწონილ მეურნეობის ყოველგვარი ცდა, რა რიგ არ იყოს ის თავის თავად მიზანშეწონილი და რაციონალური, ძველ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში დამარცხებით თავდებოდა.

რა შეიძლება, მაგალითად, ითქვას პრინციპიალურათ ქარხნების რაოდენობის შემცირებისა და წარმოების რამოდენიმე უკეთ მოწყობილ ქარხნებში კონცენტრაციის საწინააღმდეგოთ? სახელმწიფო სალაროს გაღარიბებისა და საბრუნავ კაპიტალის სიმცირის პირობებში, ეს ზომა სოციალისტურ პოლიტიკის ძირითადი მოთხოვნილებაა. მიუხედავათ ამისა ამ ზომას, რომლითაც წარმატებით სარგებლობენ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში, წინეთ ზიანის მეტი არა მოჰქონდა რა. რამოდენიმე ქარხნებში წარმოების კონცენტრაციისათვის საჭირო იყო დიდ მანძილზე დაშორებულ პლანტაციებიდან, რომლებიც შეჩერებულ ქარხნებს ეკუთვნიდა, ჭარხალი მომუშავე ქარხნებზე გადმოზიდულიყო, მაგრამ ამ-ს შესასრულებლად შეუძლებელი იყო გადაზიდვის საშუალებათა პოვნა: გლეხები არ ზიდავდენ იმ პირობით, რომელსაც მათ უყენებდენ და ჭარხალი ან ლპებოდა ყანებში ან ძარცვა-ქურდობის საგნათ ხდებოდა.

გლეხის მუშა-ხელის ნაკლებობა ყველაფერში ძლიერ საგრძნობი იყო: ყანის მუშაობის, ჭარხლის გადატან-გადმოტანისა და შეშის დამზადების დროს და იმავე დროს ეკონომიურ პოლიტიკის მიზეზითვე, ქარხნების ხარჯზე აუარებელი მუშების შტატი ირიცხებოდა და ამ ხალხს არაფერი გასაკეთებელი არ ქონდათ. ქარხნის მოსამსახურეთა სახლის ღრუბლების, სამოვრების, ბოქლომების და ჭურჭლეულობის შეკეთება და სახელოსნოებში კერძო პირებზე წვრილი მუშაობა შაქრის წარმოებისათვის საჭირო შრომათ ვერ ჩაითვლება. მუშებში პროლეტარული ერთიანობა და ქარხნისადმი ინტერესი გაჰქრა, რადგან ისინი პარაზიტულ ცხოვრებას ეწეოდნენ. მაშინ, როდესაც მათი ფუნქციები თანდათან შევიწროვდა და თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორი-სამი დღის რემონტს და შაქრის წარმოებაზე მუშაობას, ფაქტიურათ ქარხნის ქონების დაცვა—შენახვით განსაზღვრდა, ისინი, მინიმალური ხელფასის უქონლობის გამო, იძულებულნი იყვნენ ფაქტიურათ წინააღმდეგი ექნათ: ყოველგვარ კანონიერ და უკანონო საშვალებით ხარჯავდენ საქარხნო ქონების დარჩენილ ნაწილს, შაქრის მარაგსა და სხვებს. ყოველივე ამის შედეგათ, ჩვენმა რაფინადისა და ფხვნილი შაქრის ვებერთელა ქარხანამ, რომლის წლიური წარმოება თებერვლის რევოლიუციამდე 1.000.000 ფუთ რაფინადსა და 300.000 ფუთ ფხვნილ შაქარს

---

*) იხ. „კომუნისტი“ №№ 51, 52.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი აღმშენებლობა სოფლად

ჰიდრო-ელექტრონული სადგურის გაშენება მდ. აბაშის წყალვარდნილზე

ის მაზრაში მდ. აბაშაზე არის რჩეული, რომელიც ჯერ კი- ბატონყმობელობის დროს იპყ- ა სხვა და სხვა კაპიტალისტურ ბის ყურადღებას. სენაკის სა- ალმასკომმა გადასწყვიტა აღ- წყალვარდნილზე ჰიდრო- ტრონულ სადგურის აშენება და ვის მან წინასწარ გამოკვლევის ებად და პროექტის შესადგე- ადგილისიდან ინჟენრები მოიწ- ომჩნდა, რომ სადგური მოგვ- 1000 ცხენის ძალაზე მეტს, შესანახის გარდა; წყლის შე- მოწყობით კი სადგური მო- 3—4000 ცხ. ძალას.

ური მისცემს სინათლეს ქ. ენაკს, ყველა 7 რაიონ-ს პუნ- მაზრაში, ქ. ქ. ხონს და ზუგ- შესაძლებელია აგრეთვე აღ- ადგილებში წისქვილების ს ხახერხ ქარხნების მოწყო- ს გარდა რჩება საკმაო ენერ- ოფლო მეურნეობის ელექ- ფიკაციისათვის და ტრამვაის ლის მოსაწყობათ მაზრისა და ულ პუნქტებს შორის: ამ ნე- კრო-ელექტრონულ სადგურისა პუნქტებში მცირე სადგურების ბა, ორი ტანსფორმატორით ულში (ერთი განათებისათვის ორე მოტორული დატვირთვი-) და საჰაერო ხაზის გაყვანა ალურ სადგურსა და 8 პუნქ- შორის 65 ვერსის მანძილზე წინასწარ გამოანგარიშებით 00 მანეთი ოქროთი.

პროექტი წარედგინა მოსკოვში ალურ რაიონის ელექტრო- ს, რომლის წინასწარ გამოან- ბით სადგური დაჯდება არა 220.000 მანეთისა.

აღნიშნული ელექტრო-ტრესტი ხელს კიდებს სადგურის აშენების საქმეს. საკითხი მდ. აბაშაზე ელექტრონის სადგურის გაშენების შესახებ დაისვა სენაკის მაზრის საბჭოების მე-2-ე საგანგებო ყრილობაზე.

ყრილობა დიდის ენტუზიაზმით შეხვდა ამ იდეას და დაავალა სამაზრო აღმასკომს ყოველგვარი ზომების მიღება.

ყრილობამ აირჩია სამაზრო სამეული, დაადგინა ყველა თემებში დაარსდეს თემის სამეული, საჭირო ფონდის შესაქმნელათ, შემოწირულებათა მოგროვების და სხვა საშუალებით ყრილობამ გამოსცა მოწოდება და მიმართა მაზრის მშრომელებს არ დაზოგონ ძალა და საშუალება ამ დიადი საქმისათვის.

იცოდა რა, რომ მაზრის ძალა და საშუალება არ იყო საკმარისი ამ დიდი მიზნის განსახორციელებლათ, ყრილობამ დაადგინა მიემართა თხოვნით ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს, დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტს, მიწად-მოქმედების და სხვ. სახალხო კომისარიატებს, რათა გაუწიონ ამ დიად საქმეში სენაკის სამაზრო აღმასკომს თავიანთ ბიუჯეტიდან შესაძლო დახმარება.

უნდა აღინიშნოს დიდი კმაყოფილებით, რომ ყრილობის ხმამ სათანადო გამოძახილი ჰპოვა ზემოაღნიშნულ ორგანოებში. ამიერ-კავკასიის სახ. კომ. საბჭომ დაადგინა გაუწიოს დახმარება სენაკის სამაზრო აღმასკომს ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის აშენების საქმეში და მიეცეს პირველი ნაწილი დახმარებისა 10.000 მან. ოქროს ფულით. ს.ს ს. რ. სახ. კომისართა საბჭომ უცილებელ საჭიროდ დაინახა ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის აშენება და პირველ რიგში ამ საქმისთვის გადასდო 30 პროც. მთელი ნატურ-გადასახადისა სენაკის მაზრაში 1922 წლის მოსავლიდან, გარდა 20 პროცენტისა, რომელიც საერთო წესით გაცემულ იყო ადგილობრივ ბიუჯეტის გასაძლიერებლად. დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტმა გასცა მთელი სიმინდისა და ხორბლეულობის ფონდი, რომელიც იყო სენაკის მაზრის დ. დ. კომიტეტის განკარგულებაში. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა გასცეს უფასოთ საჭირო რაოდენობა ტყის მასალისა სადგურის გასაშენებლად.

დახმარება საგრძნობლად დიდია; მოლოდინზე მეტი. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამიერ-კავკასიის და საქართველოს სახ. კომისართა საბჭოები არ დასჯერდებიან გაცემულ დახმარებას და შეძლებას მისცემენ სენაკის სამაზრო აღმასკომს მიიყვანოს ბოლომდე დაწყებული დიადი საქმე.

გაწეულმა დახმარებამ გამოიწვია დიდი აღფრთოვანება მაზრის ხელმძღვანელ ორგანოებში და სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა საჩქაროთ გამოწვევა ინჟენრებისა მოსკოვიდან. მოსკოვის ცენტრალურ რაიონის ელექტრო-ტრესტის ინჟენერთა კომისია უკვე ჩამოსულია თბილისში და ველით ქ. ახ. სენაკში. მაზრის საბჭოების მე-2-ე ყრილობის დადგენილების საფუძველზე, მაზრის მცხოვრებლების დაწყებულ საქმეზე მიზიდვის შესახებ, სამაზრო აღმასკომმა ა. წ. 14 თებერვლიდან დაიწყო მთელს მაზრაში ფართე კამპანიის ჩატარება ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის აშენების იდეის საპოპულარიზაციოთ. როგორც გვაუწყებენ, ზოგიერთ თემებიდან, ეს იდეა იწვევს განუსაზღვრელ ენტუზიაზმს მცხოვრებთა ყველა წრეებში. სამაზრო აღმასკომის მიერ გამოცემულ მოწოდებას, მაზრის გლეხების მიმართ, ათას ეგზემპლიარებში, იტაცებენ პროპაგანდისტების ხელებიდან და დაწავებით კითხულობენ გლეხები. ყოველ თემში სდგება შემოწირულებათა მიმღები კომიტეტები, სადგურის საშენებელი ფონდის გასაძლიერებლად ზოგიერთ ადგილებში მიტინგის დღეს, მცხოვრებლები იძლეოდენ ვერცხლის ნივთებს და ფულებს.

დახმარება ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოსი, სახ. კომისართა საბჭოსი და სხვ. ორგანოების ს. ს. ს. რ. და ენტუზიაზმი სენაკის მაზრის გლეხებისა ნამდვილი თავდებია იმისა, რომ სენაკის სამაზრო აღმასკომი სახელოვანათ შესძლებს შეასრულოს 1 ნახ. წლის გინმავლობაში მის მიერ დაწყებული საქმე, რომელიც იქნება სარი მეჩშევიკების საფლავზე და ბეტონის საძირკველი კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლებისა.

გაუმარჯოს მდ. აბაშის წყალვარდნილზე ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის გაშენების იდეას!

ჩვენი ულრმესი მადლობა ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს, ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს, დამშეულთა დამხმარე კომიტეტს დახმარების გაწევისათვის.

სენაკის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე **ხ. მამულია.**

ს თავის საქმეს ფაბრიკა-ქარ- ლოზუნგით—რუსეთის მუშები შორისო პროლეტარიატის რებლათ.

ება რევოლიუციის მებრძოლთათვის.

კოვი. 9 მარტი, რევოლიუციის ლთათვის დახმარების საერთა- ო ორგანიზაციამ, პარიზის კო- ლის მოახლოვების გამო, გა- მოწოდება, რომელიც მოუ- მუშებს გაიღონ შეწირულე- პიტალისტურ ციხეებში მყოფ ლუციონურ მუშათა სასარგებ-

თა შორის მოწოდება აღნიშ- რომ ფაშისტურ იტალიაში და- რებულია 4.000 მეტი ამხანაგი, ეთში 1.000-დე, გერმანიაში , საფრანგეთში პუანკარემ ჩა- ხეში პროლეტარიატის საუ- მეთაურნი—კაშენი, მონმუსო ბი.

ლიუციის მებრძოლთათვის და- ს საერთაშორისო ორგანიზა- ტკის განყოფილებამ, რომელმაც აიღო შეფობა კოვნოს და ბრესლავლის ციხეებში მყოფ დაპატიმრებულებზე, გაუგზავნა მათ პირველი შეწირულება—134 ოქრო.

მუშათა მოსახლეობა.

მოსკოვი. 10 მარტი. დონის ოლქში მუშათა მოსახლეობის გასაშენებლად მიმდინარე წელს გადადებულია 6.300.000 მანეთი. განზრახულია 6.000 კუბ. საჟ. ბინების და 13.000 კუბ. საჟ. ტეხნიკურ სადგურების აშენება.

ფინანსიური მდგომარეობა.

მოსკოვი. 10 მარტი. დონის აუზიდან გაზაფხულზე მუშების წასვლის თავიდან ასაშორებლათ, კვალიფიციურ მუშებს აძლევენ ბოსტნებს. ფინანსიური მდგომარეობა დონის ოლქში უმჯობესდება. მუშებს იანვრის ანგარიშები გაუსწორეს.

ბრძოლა ლოთობასთან.

მოსკოვი. 10 მარტი. გაზ. „იზვესტიაში" სტეკლოვი მოწინავე წერილში სწერს: „არაყის გამოხდა არის სახელმწიფო მრეწველობის, ბიუჯეტის, ვაჭრობის და დამშეულთა მტერი. მაგრამ ათასჯერ მეტი ზიანი მოაქვს ლოთობას მშრომელთა მორალურ მხარესათვის. აჩლუნგებს რა მათ შეგნებას და უკარგავს უნარს პოლიტიკური უფლებებით სარგებლობისა არავითარ ღონისძიებათა წინაშე არ უნდა შევჩერდეთ ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად. რეპრესიულ ზომების გარდა საჭიროა აგიტაცია, განმარტება და განათლება. თვით მასების აქტიურ დახმარებას გარეშე ჩვენ მიზანს ვერ მივაღწევთ. საჭიროა მასების აქტიური ბრძოლა ლოთობასთან, რომელიც არის ყველაზე საზიზღარი ნაშთი ძველი დამხობილი წესწყობისა.

საჭიროა მძლავრი საჰაერო ფლოტის მოწყობა.

მოსკოვი. 10 მარტი. გაზ. „იზვესტია" განაგრძობს კამპანიას საჰაერო ფლოტის დასახმარებლად. ერთ ერთ წერილში „იზვესტია" სწერს: „ჩვენი საჰაერო ფლოტი უნდა იყოს ღირსეული საბჭოთა რესპუბლიკისა. ფლოტის სამსახური მრავალფეროვანია იგი საჭიროა მშვიდობიან დროს ჩვენი თვალუწვდენელ რესპუბლიკის სხვა და სხვა პუნქტებთან სასწრაფო კავშირის დასაჭერათ. იგი საჭიროა სამხედრო პირობებში რუსის ხალხის ინტერესების და უფლებების დასაცავად ჩვენ მოუწოდებთ ყველა შეგნებულ მოქალაქეთ ყოველი საშუალება იხმარონ მძლავრი საჰაერო ფლოტის მოსაწყობათ. საერთო ძალღონით ხელს შეუწყობთ საჰაერო ესკადრის შედგენას, რომელიც დაიცავს ჩვენ მიწა-წყალს.

ხელფასი მარტში.

მოსკოვი. 10 მარტი. გაზ. „ტრუდი" წერილში „ხელფასი მარტში" აღნიშნავს ის დიად მნიშვნელობას, რომელიც აქვს მუშა-მოსამსახურეთათვის კერძო წარმოებებსა და დაწესებულებებში სახელმწიფოებრივ მინიმუმის გადიდებას. სახელმწიფო დაწესებულებებში ხელფასი დამატებითი საშუალებათა არსებობის დროს გაცილებით მეტია სახელმწიფოებრივ მინიმუმზე. ამის ცხოვრებაში გასატარებლად სახ. კომისართა საბჭომ გადასდო მარტისათვის 34 მილ. მან. (23 წლის გამომკებ). ერთნაირ სპეციალობებისათვის (ექიმების, აგრონომების, მასწავლებლების და სხვათა) ხელფასი ერთნაირია დაწესებული. ტრანსპორტის და ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატისათვის დამატებით ხელფასის მისაცემათ სპეციალური ფონდი გადიდებულია 25 პროც. ნტით სახ. კომისარიატების მოსამსახურეები მიიღებენ კიდევ დამატებით 10 პროც.-ს. მომავალში შრომის სახ. კომისარიატი სცდილობს აიყვანოს სახელმწიფოებრივი მინიმუმი კოლექტიურ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მინიმუმამდე და საბოლოვოთ აიშოროს თავიდან ის სხვადასხვაობა, რომელიც არსებობს ერთსა და იმავე სპეციალობის და კვალიფიკაციის მუშაკთა ხელფასში და აგრეთვე გააუმჯობესოს მშრომელთა ხელფასი კერძო წარმოებებში.

1920 წელში მხოლოთ 9 ათასი ფხვნილი შაქარი გამოიმუშავა შემდეგ კი სრულიადაც გა-

დროს ადგილი ქონდა ფრი- სახასიათებელ მოვლენას! მაშინ, ც ქარხნის სახელოსნოებსა და ებში მუშაობა შეჩერდა, სა- კანტორის მუშაობა კი დღე იზრდებოდა. ქარხნის მოსამსახურეები ამბობდნენ, ქარხნის ბუხჰალტრები და კან- მოსამსახურეები არას დროს იწურებოდენ ოფლში ქაღალ- წერით, არასოდეს იმდენი ზე- სამუშაო საათები არ ქონდათ, ც ეხლა, როდესაც ქარხნის ება დაეცა. რას აკეთებდენ

დენ ურიცხვ ანკეტებს სხვა დაწესებულებების მოთხოვ-

ამბობ ამას, რასაკვირველია, იტომ, რომ დავცინო აღრიცხ- ქეს გარეშეა, რომ აღრიცხვა ლიზმის ანბანია, რომ სწორი ხვა პირველი და აუცილებელი ა ყოველ გეგმაშეწონილ მეურ- , არა თუ მარტო სოციალის- , არამედ სახელმწიფო—კაპი- ტურისაც. მაგრამ საქმე იმა- რომ აღრიცხვა სწორია და მი- ნილი მხოლოთ მაშინ, რო- ადგილი აქვს წარმოების, თუნ- მინიმალურ განვითარების პი- . როდესაც კი ეს არ არის, ც წარმოება დაღუპვაზეა გან- , აღრიცხვა აუცილებლათ ბიუროკრატიულ მიწერ-მოწე- ეცევა. ასე იყო ჩვენშიაც ახალ მიურ პოლიტიკის კურსის გა- მდე. არავისთვის საიდუმლო ის გარემოება, რომ იმ დროს, ც გლავკები არავითარ ინი- ვის თავისუფლებას არ აძლევ- ლებს, მრავალ შაქრის ქარ- აღრიცხვისაგან მალავდენ ყვი- შაქრის და პატოკის განსაზღვ- რაოდენობას და ამას ჩადიო- რა მითვისების მიზნით, არა- რმოების ინტერესისათვის, იმი- , რომ მწვავე დროს გლეხებთან ურ მუშებთან ხელფასის გა- ულად მომარაგებული იყოს აღრიცხვის გარეშე საზრუნავი ლი.

კვირველია ოფიციალურ ანკე- ამ ფრიად გავრცელებულ პრა- ადგილი არ ქონდა. მართა- აღრიცხვას კონტროლი ემატე- მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ყველასთვის, ადგილებზე, ცხადი იყო, რომ კონტროლს ისეთივე ფიქტიური და ბიუროკრატიული ხასიათი ქონდა, როგორც აღრიცხვას: ურიცხვი სარევიზიო კომისიები, უმეტეს შემთხვევებში, რევიზიის დასაწყისში შიშის ზარს სცემდენ, ხოლო ბოლოს კი დეკრეტებისა და ცირკულიარების შეუსრულებლობას ფარავდენ, რამდენათაც ეს უკანასკნელი არ იყო გამოწვეული მითვისების მოტივებით. მაგრამ ამ არანორმალურ პრაქტიკას არ შეეძლო რევიზიის მონაწილეთა წრეში ერთგვარი დემორალიზაცია არ შეეტანა, მით უფრო, რომ მათი ნივთიერი მდგომარეობა უზრუნველყოფილი არ იყო: ამიტომაც მექრთამეობა ჩვეულებრივ მოვლენათ იქცა.

ასეთივე ბიუროკრატიზმი მეფობდა მოუმწიფებელ კომუნიზმის პერიოდში და გლეხობისა და საბჭოთა ხელისუფლების გამწვავებულ წინააღმდეგობის დროს, ადგილებზე საბჭოთა აღმშენებლობის სხვა დარგებშიაც, გარდა სასურსათო და სამხედრო დარგებისა, რომლებშიაც საბჭოთა ხელისუფლების მთელი რევოლიუციონური ენერგია იყო დაგროვებული და რომელთა სიღრმეში იქმნებოდა რევოლიუციის მთავარ ძალების პროლეტარიატისა და წითელ არმიის, გადარჩენის დიადი და უპირველესი საქმე, თუნდაც სამეურნეო და კულტურულ ცხოვრების დარღვევის ფასათ.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შემოღებამდე არსებულ ბიუროკრატიზმის ილიუსტრაციისათვის ავღნიშნავ კიდევ ჩვენი პროვინციის საავათმყოფოებისა და სკოლების მდგომარეობას. აქაც, როგორც ყოველგან, ზოგადი პრინციპები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა საბჭოთა ხელისუფლება, არც ერთ მუშათა კლასის კეთილმოსურნესათვის სადავო არ იყო. საყოველთაო უფასო სწავლა განათლებისა და მედიცინის აუცილებლობას არა თუ ყოველი პატიოსანი სოციალისტი, არამედ პატიოსანი დემოკრატიც სცნობს. მაგრამ ის ფართე გაქანება, რომლითაც დაიწყო მედიცინისა და სასკოლო საქმის აღმშენებლობა სავსებით ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს ღარიბ ნივთიერ საშუალებებს, რის შედეგი იყო უნაყოფო, ბიუროკრატიული ფანტაზიორობა და ძალთა არა ეკონომიური ხარჯვა.

ძველი სკოლები დაუყოვნებლივ შრომის სკოლებათ გადაკეთდენ, მაგრამ ეს ზომა, პედაგოგიურ პერსონალის სრული მოუმზადებლობისა და სათანადო სახელმძღვანელოების უქონლობის გამო, სკოლის სახელწოდების შეცვლით განისაზღვრა. დარჩა ძველი პედაგოგიური სისტემა და შრომის პრინციპი კი პედაგოგიკაში გამოისახა მხოლოთ იმით, რომ მოწაფეები, უმთავრესათ მუშურ-გლეხურ ოჯახებიდან გამოსულნი და ფიზიკურ მუშაობას შინაც საკმაოთ დაჩვეულნი, ხერხავდენ შეშას სკოლის შენობის გასათბობათ, რეცხავდენ იატაკსა და ზაფხულზე სკოლის ბოსტნებში მუშაობდენ და ეს იმ დროს, როდესაც თვით მასწავლებლები თავის მიწებს სანახევროთ გლეხებს აძლევდენ.

წერა-კითხვის უცოდინარობა ნახევარ წელიწადში უნდა მოისპოს! მაგრამ ამისათვის საჭირო იყო სასკოლო ქსელის არა-ჩვეულებრივი გაფართოება. ჩვენ თემში კი ნივთიერი საშუალება არ იყო უკვე არსებულ სკოლების რემონტისა და გათბობისათვის. განათლება სავალდებულო და ყველასათვის უფასო უნდა იქნეს! მაგრამ, რით იარსებონ მასწავლებლებმა? როდესაც ჩვენთან წითელ არმიის ნაწილი იდგა, მან დახმარება გაუწია თემის აღმასკომს სკოლების საჭიროებისათვის გადასახადის აკრეფის საქმეში. მანამდე კი სკოლის მასწავლებლებს მთელი წლის განმავლობაში ჯამაგირი არ მიუღიათ და ეს მაშინ, როდესაც ისინი ომის დროს არაჩვეულებრივ მძიმე პირობებში მუშაობდენ: არა ერთხელ იყო შემთხვევა, რომ მოწაფეებს სკოლებიდან ითხოვდენ მხოლოდ მაშინ, როდესაც სოფელში ყუმბარები სკდებოდენ და ტყვიის მტყორცნელის ხმა ისმოდა. განა საკვირველია, რომ დადგა ისეთი მომენტი, როდესაც მასწავლებელთა შორის დემორალიზაცია დაიწყო? რაიმე ნივთიერ სახსარის უქონლობის გამო, მასწავლებლებმა მოსწავლეებისადმი განსაკუთრებული სიმკაცრე გამოიჩინეს, რის გამოც მოწაფეთა უმეტესმა ნაწილმა მასწავლებლებთან შინ მეცადინეობა დაიწყეს. გააგდე ბუნება კარში, ის ფანჯრიდან შემოფრინდება!

(ეს სამწუხარო პრაქტიკა, საბედნიეროთ, დიდ ხანს არ გაგრძელებულა. როგორცვე შეიკრიფა სასკოლო გადასახადი, სკოლებში მასწავლებელ-მოსწავლეთა შორის ნორმალური დამოკიდებულება განახლდა).

ასეთივე იყო მდგომარეობა საავათმყოფოებშიაც. ჩვენი საქარხნო საავათმყოფოს მედიკური პერსონალი, „სიდელკების" გარდა, ერთი ექიმისა და ორი ფერშალისაგან შესდგებოდა (ეპიდემიის დროს კიდევ ერთი ექიმი მოგვემატა). ეს პერსონალი ასწრებდა თავის საქმის მოგვარებას მაშინაც, როდესაც ქარხანა სრული ტემპით მუშაობდა. როდესაც წარმოებაში ჩართულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა, დღიურ მუშათა ჩათვლით, 2000 კაცს უდრიდა (ოჯახობით სულ 6000 სული იყო). მაგრამ საქმის ასეთი ვითარება სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატს როდი აკმაყოფილებდა. ის მოითხოვდა, რომ საავათმყოფოთა პატარა აფთიაქებს ფერშლების მაგივრათ სპეცი ფარმაცევტები განაგებდნენ. და, აი, როდესაც საერთო დეკრეტის ძალით დაბის აფთიაქი დაიხურა, საქარხნო საავათმყოფოს მცირე აფთიაქისათვის დანიშნული იყო ერთი პროვიზორი და მისი თანაშემწე ქალი. პროვიზორი იღებდა სახელმწიფო პაიოკსა და საპროზექტურო ტანთსაცმელს, თუმცა მას არავითარი საქმე არ ქონდა, მით უფრო, რომ წამლების რაოდენობა საქარხნო აფთიაქში დღითიდღე კლებულობდა.

ცხადია, ქარხნის საავათმყოფოსათვის საჭირო იყო არა ზედმეტი პროვიზორები, არამედ წამლების დამატებითი რაოდენობა, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ჯანმრთელობის განყოფილებას წამლები არ ქონდა. მათი შოვნა შეიძლებოდა მალულათ მოვაჭრე პირებისაგან. ყოველივე ამის გამო, როდესაც საქარხნო საავათმყოფო ჯანმრთელობის განყოფილებაში გადადიოდა, მუშები ექიმს ჩააცივდნენ თხოვნით, დაეფარა აღრიცხვისაგან აუცილებელ წამლების განსაზღვრული რაოდენობა ქარხნის მშრომელთა საჭიროების უზრუნველსაყოფათ. გამოუსვლელ მდგომარეობიდან თავის დასახსნელათ, საქარხნო ექიმი სამჯერ გაემგზავრა სამაზრო ქალაქში წამლების საშოვრათ. ექიმი უხსნიდა სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებას, რომ მდგომარეობა კრიტიკულია, რომ საქარხნო რაიონში საშინელი ეპიდემია მძვინვარებს და ეკითხებოდა: რა ვქნათო. ექიმს უპასუხეს: „ჩვენ ვერავითარი გზით ვერ გიშველით, რადგან წამლები ჩვენ არა გვაქვსო" და შემდეგ კი—ნახევრათ ხუმრობით, ნახევრათ სერიოზულათ—ურჩიეს: „იყიდეთ კერძო პირებისგან და დავთარში ისე აღნიშნეთ, თითქოს ხარჯი რძეზეა გაღებული"-ო.

ოქტომბრის რევოლიუციის პირველ სამი წლის შედეგების გათვალისწინების შემდეგ, მე დავსკვენი, რომ ეს ხანა ხასიათდება ბრწყინვალე სამხედრო-პოლიტიკურ გამარჯვებებისა და სამეურნეო-კულტურულ ფრონტზე სისტემატიურ დამარცხებების წინააღმდეგობით.

ა. მარტინოვი.

(გაგრძელება იქნება)

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა.

ბათომი. 9 მარტი. კოოპერაცია. სახალხო კომისართა საბჭოს წინადადებით ცეკავშირი აწყობს კოოპერატივებს ხულოში, ქედდაში და აჭარის წყალში, რისთვისაც იღებს მარილისა და ნავთის საჭირო რაოდენობას.

ბრძოლა მავნეებთან. დაიწყო ბრძოლა მავნეებთან ციტრუსის პლანტაციებში, მაგრამ საპონავთის უქონლობის გამო, რომელსაც ელიან ბაქოდან, მუშაობა ჯერ ჯერობით სწარმოებს განსაზღვრულ ფარგლებში.

აზერბეიჯანი.

ბაქო. 9 მარტი. მიწის ძვრა. 7 მარტს, ღამით კაზახში მოხდა მიწის ძვრა.

სომხეთი

ერევანი. 9 მარტი. მუშა ქალთა დღე. 8 მარტს ერევანში მუშა ქალთა საერთაშორისო დღე საზეიმოთ იდღესასწაულეს. 12 საათიდან ყველა დაწესებულებებში შეწყდა მუშაობა. პარტიული ორგანიზაციები, პროფკავშირები, ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი, ქალთა უამრავი რიცხვი, მათ შორის მუსულმან-ქალები უკები და სკაუტები დროშებით და ორკესტრებით მივიდნენ პროფკავშირების შენობასთან, სადაც გაიმართა გრანდიოზული მიტინგი სომხეთის პროფკავშირთა საბჭოს სახელით. მისალმების სიტყვების შემდეგ მანიფესტანტები გაეშურნენ ცენტრალურ კომიტეტის შენობისკენ, რომლის სახელით ამხ. მეგრაბიანი მიესალმა მანიფესტაციას და განმარტა ქალების როლი პროფესიონალური მოძრაობის საქმეში და მათი ბრძოლის მნიშვნელობა უფლებებისათვის. ამასთან გაუსვა ხაზი ბებელის სიტყვებს, რომ ცხოვრებაში ერთად-ერთი მონათ დარჩა ქალი. შემდეგ მანიფესტაცია წავიდა მოედნისაკენ, სადაც მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე ქალები, საღამოს სახელმწიფო თეატრში, მუშათა კლუბში, რკინის გზელთა კლუბში, გამასწორებელ სახლში და „ნორკის" რედაქციაში შესდგა მიტინგები, სადაც დამსწრეთ განუმარტეს დღესასწაულის მნიშვნელობა.

პროფესიონალური მეურნეობა. უკანასკნელ ხანებში პროფესიონალური მეურნეობა დაადგა ფართე განვითარების გზას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სარდარდარის ბაღი, სადაც გაშენებულია უაღრესად კულტურული მცენარეები. 11 დეს. ადგილის მოედანზე. მიმდინარე წელში განაგრძობენ სხვა და სხვა ახალ-ახალ ჯიშის ნაყოფის მცენარეთა გაშენების ცდას საბჭოთა სამეურნეო 11 ბაღში, ოცდა შვიდ დესიატინის მანძილზე. განსაკუთრებით კულტურ. საფუძვლებზე აშენებს ზვარებს. ხეხილეის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. კოტაის რაიონში მეორე საბჭოთა მეურნეობას უკავია 93 დეს. ადგილი. მესამე საბჭოთა მეურნეობა პარაკერში განსაკუთრებით გაშენებულია ვენახებით. მეოთხე საბჭოთა მეურნეობა—ახტალაში.

პატარა ფელეტონი

გრაფის ბაჭია

სასახლის ბაღის ერთ ადგილს პატარა საფლავის ლოდზე ოქროს ასოებით წარწერილია: „აქ განისვენებს გრაფ ვარანცოვ-დაშკოვის ბაჭია".

(თბილისი „რადიო-ცნობა")

სასახლის ბაღში შემემთხვა შესვლა
და უცბათ ისე, რომ არ ველოდი,
მუნ ბუჩქთა შორის ყვავილოვანთა
ვნახე პატარა საფლავის ლოდი.

ჯერ მაკვირვებდა მე აქ საფლავი
და მაოცებდა ლოდი პაწია,
ოქროს ანბნებით ზედ აღებექდათ:
„აქ განისვენებს გრაფის ბაჭია!.."

თუმც კურდღლათ ყოფნა ჩვეულებრივად
არ არის დიდათ სახარბიელო,
მუდამ ცახცახით მალვა ბუჩქნარში
და საბალახოთ ჯეჯილის მდელო,

მაგრამ დავრწმუნდი, რომ სხვა ყოფილა
გრაფის ბაჭიად ქვეყნად ხსენება:
სიცოცხლე ტკბილი და უზრუნველი
და კვლავ მეფური სრა-განსვენება!..

რა თავში ვიხლი ლექსების წერას,
ან რას აკეთებს ეს იგავები,
ყველას ვგონივარ ვილაც უსაქმო,
მოლაყბე, ენა ანაქავები.

ჩემთვის არ თუ აქ, მთელათ ქალაქში
„ადლი მიწაც" კი, ვიცი, არ არის,
ცოცხალს პატივის არ მაქვს იმედი
და სიკვდილს შემდეგ—მსგავსი სამარის...

მაშ, რით არ მჯობნის, ვსთქ ათ, მე ბაჭია,
რომლის მფარველი ქვეყნად გრაფია:
ცოცხალს უხვად აქვს მოპყრობა ტკბილი
და მკვდარს კი—ოქროს ეპიტაფია.

ონისიმე

პარტიული ცხოვრება

თამბაქოს ფაბრიკის „პროლეტარის" კომუჯრედში

2 მარტს, ერთიან პარტიულ დღეს შესდგა თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარ"-თან არსებულ კომუჯრედის და მე 12 საპ. ბათალიონის კომუჯრედის წევრთა გაერთიანებული საჯარო სხდომა, რომელსაც დაესწრო ახალგაზრდათა კომკავშირის წევრები და ბევრი უპარტიო მუშა-მოსამსახურენი. დღის წესრიგში იდგა: მოხსენება მუშა-ქალთა საერთაშორისო დღის შესახებ, მოხსენება ქალაქ ტფილისის და მაზრის კომუნისტურ ორგანიზაციების მე 4 კონფერენციის შედეგების შესახებ და კომუჯრედში მომავალი მუშაობის გეგმის განხილვა-დამტკიცება.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. მიხაილოვამ. კომუჯრედი მიღებულ რეზოლიუციაში მიესალმება საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც გაანთავისუფლა მუშა-ქალი მონობისაგან და მისცა მას საშუალება პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების და თავისუფალ შემოქმედების.

კრება ავალდებულებს ყველა წევრთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის ღირსეულად ჩასატარებლათ. ტფილისის მეოთხე საქალაქო პარტკონფერენციის შედეგებზე მოხსენება გააკეთა კომუჯრედის მდივანმა ამხ. ვარდოიანმა ის დაწვრილებით შეჩერდა ტფილისის კომიტეტის ანგარიშზე, საქართველოს სახალხო მეურნეობის ამოცანებზე და ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენებაზე საქართველოს კომუნისტურ პარტიის უახლოეს ამოცანების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღებით და ინტერესით იქნა კრების მიერ მოსმენილი მოხსენება კომპარტიის უახლოეს ამოცანებზე. საკითხის კარგად განსამარტავათ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს ბევრმა ამხანაგებმა. მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა ყველა შეკითხვაზე, რომლის შემდეგ კრებამ მიიღო ერთხმად რეზოლიუცია, რომელშიაც კომუჯრედები ახალგაზრდათა კომკავშირის წევრებთან და უპარტიო მუშა-მოსამსახურეებთან ერთად ესალმებიან უკვე გადადგმულ ნაბიჯებს აგრარულ რეფორმის დაუყოვნებლივ დასასრულებლად, სასამართლოების ორგანიზაციას, მათ სათავეში მუშურ ელემენტების ჩაყენებას და საერთოდ კომუნისტურ პარტიის ყველა ღონისძიებებს. ტფილისის კომიტეტის ხაზს, კომუჯრედი სთვლის სწორად და მის მოღვაწეობას დამაკმაყოფილებლად. შემდეგ დახურულ სხდომაზე კომუჯრედმა გაარჩია რამოდენიმე ადგილობრივ ხასიათის საკითხები, მათ შორის განხილულ და რამდენიმე შესწორებებით დამტკიცებულ იქნა ბიუროს მიერ შემუშავებული კომუჯრედის მომავალ მუშაობის გეგმა.

ასეთია კომუჯრედის მუშაობა.

თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტართან" არსებულ კომუჯრედზე ამ რამდენიმე თვის წინეთ მიმაგრებული იყო ერთ-ერთი პასუხისმგებელი ამხანაგი. ის სისტემატიურად ესწრებოდა კომუჯრედის სხდომებს, აკეთებდა მოხსენებებს, ხელმძღვანელობდა კომუჯრედს, მაგრამ მუშაობა მაინც უსიცოცხლო იყო; არ ემჩნეოდა უჯრედის წევრებს თვით მოქმედება. რაიონულ კომიტეტის მიერ საცდელად მოხსნა მიმაგრებული ამხანაგი და კომუჯრედი დასტოვა მხოლოდ თავის ძალების ამარა. ამ გარემოებამ შესამჩნევად გამოაცოცხლა მუშაობა. კომუჯრედის ბიურო დარწმუნებულია იმაში, რომ აღარ მოვა მიმაგრებული ამხანაგი მოხსენების გასაკეთებლად, ავალებს კომუჯრედის წევრებს მოხსენებების გაკეთებას. წევრები უკვე ეცნობიან მოხსენებისათვის საჭირო მასალებს, რადგან ყოველი მათგანი მოელის მომხსენებლად დანიშნას ბიუროს მიერ. ამრიგად წევრები უფრო მეტი ცოდნით აღჭურვილნი ყოველი საკითხების შესახებ უფრო მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ საკითხების განხილვაში და მათ გადაწყვეტაში. უპარტიო მუშების საბჭოთა აღმშენებლობაში ჩასაბმელად ეწყობა მიტინგები, საუბრები, კომუჯრედის ღია კრებები ფაბრიკის მუშა მოსამსახურეთა საზოგადო კრებები ყოველ ორ კვირაში ერთხელ, რომელზედაც ისმება სამეურნეო ხასიათის საკითხები, იკითხება და ირჩევა დეკრეტები, ცირკულიარები, განკარგულებები საბჭოთა მთავრობის. სწარმოებს წრეებში მეცადინეობა ტფილისის კომიტეტის მიერ შემუშავებულ პროგრამის მიხედვით. კომუჯრედთან არსებობს წიგნთ-საცავი, საიდანაც მუშა-მოსამსახურეებს დრო გამოშვებით ეძლევათ წასაკითხავათ ბროშიურები, ჟურნალები და სხვა ახალი გამოცემანი. კომუჯრედი დიდ ყურადღებას აქცევს ფარიკის მუშაობას, რისთვისაც ყოველ თვიურად საფაბრიკო კომიტეტი და ფაბრიკის დირექტორი ანგარიშს აკეთებენ კომუჯრედის სხდომაზე; ამრიგად უჯრედი ეცნობა, როგორც დადებით ისე უარყოფით მხარეებს მუშაობისას და ღებულობს ზომებს მათ გამოსასწორებლად. ქალთა შორის სამუშაოდ გამოყოფილია ორი ორგანიზატორი, ერთი კომუჯრედიდან, მეორე ახალგაზრდათა კომკავშირიდან. ქალებს დავალებული აქვთ სისტემატიურად იარონ ლექციებზე, რომლებიც იკითხება ცენტრალურ მუშათა კლუბში. ახალგაზრდათა კავშირის ხელმძღვანელობა იმაში გამოიხატება, რომ არსებობს ურთიერთ წარმომადგენლობა. იმართება ბიუროს და უჯრედების გაერთიანებული კრებები. მჭიდრო კავშირია ჯარის ნაწილებთან. ჩინებულად ჩატარებულ იქნა წითელი არმიის 5 წლის არსებობის დღესასწაული. უჯრედმა და ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა უძღვნეს მე-12 საპ. ბათალიონის წითელ არმიელებს რამოდენიმე ათასი ღერი გაკეთებული პაპიროსი და 22 მილიონ მანეთის ღირებული თამბაქო.

ეკონომიური ცხოვრება

ბირჟის საქონლის განყოფილებასთან არსებულ კურსის დამწესებელ კომისიის კურსი.

10 მარტი.

ოქროს 10 მან.—5.300, გირ. სტ. ჩეკი—8.475, დოლარის ჩეკი—760, ოსმალური ქაღალდის ლირა—555, საბჭოთა ფულის ნიშნები—18,25.

ბაზრის ფასები.

საქონლის ბაზრის ფასები ასეთია: ხორბალი ყუბანის ფ.—430—440, ხორბალი ადგილ.—730—340, ქერი—250—270, სიმინდი ადგ.—220—230, ბრინჯი ბქულა—2400, ბრინჯი აგდაშის—1200—1400, ფქვილი ყუბანის—900—1000, კავკავის ფქვილი—700—750, ფქვილი ადგ.—480—500, სიმინდის ფქვილი ადგ.—240—250, შაქარი რაფინადი—5400, შაქარის ფხვნილი ფ 3.350, შაქარი ვაგონობით—3.185, მზეს უმზირას ზეთი—2300, თუშური ყველი ფ.—4600—5.300, ნახიჩევანის მარილი ფ.—520, ბაწარი—ფ. 9 ლირა, თოკი ფ.—1 მ. 75 კ.

ბირჟის საქონლის განყოფილებაში

10 მარტი.

მიწოდება. ყუბანის 1-ლი ხარისხის ფქვილი, შვეიცარიული ყველი, ერბო, ტეხნიკური და კოკსის ზეთი, ფხვნილი შაქარი, ცხვრის ტყავი, ტყავის საქონელი—ტყავები, ნედლი მასალა—მატყლი, ჭერამი, უმაღლესი ხარისხის საზა, ემალის ჭურჭლები, რუსული მანუფაქტურა.

მოთხოვნილება—შაბიამანი—„კორონა"-ს მარკის, გოგირდი „ბუდა", ზეთი, სოდა, ემალის ჭურჭელი, საპნის სუროგატი. ნავთისა „ტიპ-ტოპ", რუსული ხრომი და შევრო, ყუბანის ფქვილი 1 ხარ. ბრინჯი.

თბილისის ბაზარზე

ბირჟის საქონლის განყოფილების ცნობების მიხედვით, მარცვლეულზე და პურის პროდუქტებზე ფასებს ემჩნევა მცირეოდენი დაწევა. ფასები უცვლელია ფხვნილ შაქარზე და რაფინადზე. თბილისში მიღებულია ვლადიკავკაზიდან 1 ნახ. ვაგონი ფქვილი „სეიანკა".

რუსეთის ნედლი მასალა ინგლისის ბაზარზე.

დიდი ომის დაწყების დღიდან რუსეთის მთელი რიგი ნედლი მასალებისა გაქრა მსოფლიო ბაზარზე.

ზოგიერთი ნედლი მასალა, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე მოიპოვებოდა შეცვლილ იქნა (რაოდენობის მხრივ) სხვა ქვეყნების ნედლი მასალით ზოგიერთ შემთხვევაში კი ზოგიერთი პროდუქტები შეუცვლელი დარჩა და ასეთ საქონლის მეპატრონეთ საშუალება მიეცათ აეწიათ ამ საქონლის ფასები. ამგვარად ევროპის და ამერიკის დამმუშავებელი მრეწველობა მიუხედავათ ყოველგვარი ცდისა განიცდის დიდ გაჭირვებას რუსეთის მასალის უქონლობის გამო. აქედან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთის საქონლის გაქრობამ უცხოეთის ბაზარზე ძალიან მცირე გავლენა მოახდინა ამ საქონლის გასაღების შესაძლებლობაზე და ყოველ შემთხვევაში რუსეთის საქონელზე მოთხოვნილება ერთბაშათ გაიზარდა. მაგრამ შესაძლებელია, რომ ზოგიერთი ნედლეულის გასაღებისათვის არ იქნება ისეთი ფართო შესაძლებლობა, როგორც ეს 1914 წელს იყო. დასავლეთ ევროპამ უკვე მოიპოვა ნედლი მასალის ბაზრები, რომელთანაც რუსეთს კონკურენციის გაწევა მოუხდება.

ქრონიკა

ქალაქის აღმასკომში

— **წითელი ფლოტის სასარგებლოდ.** მცირე პრეზიდიუმმა ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის კომიტეტის მომართვის თანახმად, დაადგინა აღნიშნულ ორგანიზაციის მიერ 9 მარტს წითელი ფლოტის სასარგებლოდ გამართული საღამო განთავისუფლებული იქნეს 5 პროც. გადასახადისაგან.

— **მოსკოვში მივლინება.** სრულიად რუსეთის საალმშენებლო და სანიტარულ ტეხნიკურ სექციათა წარმომადგენლების ყრილობაზე მოსკოვში, მცირე პრეზიდიუმის დადგენილებით, წარმომადგენლად გაგზავნილი იქნა ინჟინერ-არქიტექტორი აბესალომოვი.

— **უმუშევარ ქალთა დროებითი თავშესაფარი.** მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა უმუშევარ ქალთა დროებითი თავშესაფარი დაექვემდებაროს აღმასკომის სამმართველოს განყოფილებას და ამ უკანასკნელს წინადადება მიეცეს წარმოუდგინოს პრეზიდიუმს აღნიშნული ხარჯთაღრიცხვა უკვე დამტკიცებულ შტატის მიხედვით.

— **მჩატე ავტომობილების განაწილება.** მცირე პრეზიდიუმმა მჩატე ავტომობილებით სარგებლობის შესახებ დაადგინა: ავტომობილები განაწილებული იქნეს შემდეგნაირათ—ერთი ავტომობილი აღმასკომის თავმჯდომარეს, კომუნალურ განყოფილების გამგეს, რომელმაც აგრეთვე უნდა დააკმაყოფილოს კომუნ. განყ. ყველა ქვე-განყოფილებების საჭიროებანი, ტფილისის მილიციის უფროსს და სისხ. სამართ. უფროსს. დანარჩენი მანქანები ჩამოერთვას ყველას და თავმოყრილ იქნას აღმასკომის გარაჟში. შემოღებული იქნეს განთავისუფლებულ მანქანების მორიგეობა აღმასკომის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დილის 9—3 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათ. ღამის 12 საათამდე, რომლითაც სარგებლობა შეიძლება მხოლოდ პრეზიდიუმის ნებართვით.

ა. კ. სახ. კომისართა საბჭოში.

— **თამბაქოს მრეწველობა.** ა. კ. სახალხო კომისართა საბჭომ განიხილა ა. კ. საგარეო ვაჭრობის მიერ წარდგენილი წერილობითი მოხსენება რესპუბლიკებში არსებულ თამბაქოს წარმოების მდგომარეობის შესახებ და აუცილებელ საჭიროებად სცნო აქციონერთა საზოგადოების დაარსება ამიერ-კავკასიაში თამბაქოს მრეწველობის გაუმჯობესებისათვის.

— **საქართველოს სამხედრო გზა.** სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა საქართველოს სამხედრო გზაზე ნორმალური მსვლელობის აღსადგენათ.

— **საღერბო წესდება.** სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა „საღერბო წესდების" დეკრეტის პროექტი.

— **სესხი სახალხო კომისარიატებს.** სახ. კომ. საბჭომ წინადადებით მიმართა ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატს, რომ საქართველოს სახალხო კომისარიატებს მარტის თვის განმავლობაში გაეხსნას სესხი თებერვალში მიღებულ სესხის რაოდენობის მიხედვით.

— **მოქალაქეთა და ჯარში გასაწვევების აღრიცხვა.** სახ. კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება რესპუბლიკის მოქალაქეთა და ჯარში გასაწვევების აღრიცხვის შესახებ.

— **მისასალმებელი დეპეშა.** ახალ-სენაკიდან სახ. კომისართა საბჭოს სახელზე მიღებულია მისასალმებელი დეპეშა: ახალ-სენაკის სამაზრო კომპარტიის მეორე ლეგალური კონფერენცია გიგზავნით მხურვალე სალამს და ფიცსა სდებს, მედგრად იდგეს საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე.

— **რადიო სადგურები.** ა. კ. სახ. კომისართა საბჭომ, ა. კ. ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატმა დასამტკიცებლად წარუდგინა რადიო-სადგურების შესახებ ხელშეკრულება, რომლის ძალით უნდა დაარსდეს რადიო-სადგურები შემდეგ ქალაქებში: ტფილისში, ბაქოში, ერევანში, სუხუმში, შუშაში და განჯაში. ა. კ. სახ. კომ. საბჭომ აღნიშნული ხელშეკრულება დაამტკიცა.

— **წარმომადგენლობა მოსკოვში.** ა. კ. ცენტ. კომისართა საბჭომ განიხილა პროექტი მოსკოვში ა. კ. ეკონომიურ წარმომადგენლობის შესახებ და დაადგინა ა. კ. სახ. კომ. საბჭოს ჰყავდეს მოსკოვში ეკონომიური წარმომადგენელი.

საქ. პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატში.

სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტში. სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტი რამდენიმე თვეა, რაც

მუშათა ცხოვრება

ქუჩების სიხარული

(25 თებერვლის მუშათა დემონსტრაციების გამო)

1

შემოკრბენ ერთად მსოფლიო ძმები;
ზამთარმა ყველა ვერ გადათოშა!
ააწყვეს ახალ ჰანგზე სიმები,
აააფრიალეს წითელი დროშა!

დაჰკრეს ყიჟინა, არე დაჭყარეს,
ვარდ-ყვავილებით მორთეს ქუჩები,
გული და სული ისე დაშაქრეს,
ვით მოღიმარე ქალის ტუჩები!

გამოდით კარში! რა დროს ძილია!
მზეს სიხარულით ასდის ალები!
სატრფო ალერსით ფრთებ-გაშლილია,
ეშხით უცინის მწველი თვალები!!...

ისმის სიმღერა—სევდის მალამო;
ინტერნაციონალს უხდება „ბანი"!
ოჰ, რა ტკბილია! ოჰ, რა საამო!
ზუზუნ-გუგუნით ირყევა მთანი!..

2

მაგრამ მით ბრძოლა არ შეჩერდება,
მხოლოდ კოკორში ყვავის ენძელა,
ვიდრე ცხოვრება არ გარდიქმნება,
მწარე იქნება, როგორც ნაღველა...

ადამიანის რთული ბუნების
ჯერ ტლანქი მხარე გულს გაისვებს
და ლაღი სული ხორცთა ცდუნების
ჭუჭყიან ქაფად მოიტივტივებს...

მუშას ჯერ ხმალი არ ჩაუგია;
ის ისევ ბრწყინავს, ის ისევ ელავს;
გაიგოს, ვისაც არ გაუგია,
რომ შრომის ორგულს ყველას გასთელავს!..

ასოთ ამწყობი გიგო ხეჩუაშვილი.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

კითხვა: როდის უნდა მიეცეს იმ დაქირავებულს შრომის ხელფასი, რომლის მუშაობას აქვს დროებითი, ანუ შემთხვევითი ხასიათი და რომელიც გრძელდება ორი კვირაზე ნაკლებ დროის განმავლობაში?

პასუხი: გასამრჯელო უნდა მიეცეს მას დაუყოვნებლივ სამუშაოს დამთავრებისათანავე.

კითხვა: რა სახით ხდება გასამრჯელოს მიცემა?

პასუხი: გასამრჯელოს გაცემა ხდება ფულით და სურსათ-სანოვაგით, თუ კი ეს უკანასკნელი აღნიშნულია შრომის, ან კოლექტიურ ხელშეკრულებაში.

კითხვა: როდის და სადა ხდება გასამრჯელოს მიცემა?

პასუხი: გასამრჯელოს მიცემა ხდება სამუშაო დროს და იქ, სადაც მუშაობა სწარმოებს.

კითხვა: მიეცემა თუ არა გასამრჯელო დაქირავებულს, თუ კი ის ვერ შესძლებს სამუშაოს შესრულებას მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო?

პასუხი: აუცილებლად უნდა მიეცეს მას გასამრჯელო მისი საშუალო ხელფასის მიხედვით.

კითხვა: ვინ აწესებს საშუალო ხელფასის განსაზღვრის წესრიგს?

პასუხი: საშუალო ხელფასის განსაზღვრის წესრიგს აწესებს შრომის სახალხო კომისარიატი.

კითხვა: ეძლევათ თუ არა საშუალო ხელფასი წინ და წინ იმ მუშა-მოსამსახურეთ, რომელნიც იმყოფებიან შვებულებაში?

პასუხი: ეძლევათ.

კითხვა: რა რაოდენობით განისაზღვრება გასამრჯელო „ნაჭრობით" შესრულებულ სამუშაოსი?

პასუხი: ამას მივიღებთ, თუ დაწესებულის დღიურ განაკვეთს (უკვე განსაზღვრულ კატეგორიისა) გავყოფთ გამომუშავების ნორმაზედ

კითხვა: დასაშვებია თუ არა რაიმე სხვა საშუალებით ნარდათ ან ნაჭრობით შესასრულებელ სამუშაოს საფასურის განსაზღვრა?

პასუხი: დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომელიც აღნიშნული და მოხსენებულია თვით ხელშეკრულობაში. დანარჩენ შემთხვევაში კი დაუშვებელია.

ს. პ. კ. ს. იურიდიული ბიურო.

„კარლ-მარქსის" სახელობის ზეთის ქარხანა

ვორონცოვის ქუჩა, № 119.

ამ დღეებში აღნიშნულ ქარხანაში მოწვეულ იქნა ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებას დაესწრო 52 მუშა-მოსამსახურე. კრებაზე თავმჯდომარეობს ამხ. არაქელოვი, მდივნობს ამხ. კალნიცკი.

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება ყოფილ ქარხკომის მიერ მუშაობის შესახებ 2. სარევიზიო და კულტ-კომისიების არჩევნები, 3. გაზეთ. „მუშის" კორესპოდენტის არჩევა და 4. მუშა ვანო ელისაშვილის მიერ თავის უფროსის მიმართ ჩადენილ შეურაცხყოფის გარჩევა...

პირველ საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ყოფ. ქარხკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ხვიჩია და ხაზს უსვამს იმას, რომ იმ პირობებში, რომელშიაც მას უხდებოდა მუშაობა ამხ. მუშების ინტერესების დასაცავად, მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო. მუშები ადასტურებენ ამხ. ხვიჩიას მოხსენებას და უცხადებენ დიდ მადლობას მთელ ქარხკომის შემადგენლობას მუშების ინტერესების ყოველმხრივ დაცვისათვის, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ მუშები თავის დროზე ღებულობდენ როგორც ჯამაგირებს, ისე მათთვის ხვედრ ულუფებს; აგრეთვე განსაკუთრებულ შემთხვევებში მათ ეძლეოდათ ავანსები და სხვა დახმარება. შემდეგ კრება ირჩევს ახალ ქარხკომს, რომლის შემადგენლობაში შედიან ამხ. ამხ. ხვიჩია (მდივანი), მამიევა და კალნიცკაია, და კანდიდატებად ამხ. დალაქაშვილი, მალხაზოვი და კარაპეტოვი.

სარევიზიო კომისიაში არჩეული იქნენ ამხ. ამხ: ალექსეევი, არუტიუნოვი, და გრიგორიანი. კულტკომისიაში კრება ერთხმად ირჩევს ამხ. ამხ.: გაბიჯანოვს, დალაქაშვილს და კალნიცკაიას, და კანდიდატად ამხ. მეხენგორფს.

გაზ. „მუშა"-ს კორესპონდენტად არჩეულ იქნა ამხ. დალაქაშვილი სანდრო. ამის შემდეგ ვანო ელისაშვილის მიერ ჩადენილ საქმის შესახებ კრება ერთხმად სწყვეტს გამოუცხადოს ამხ. მუშა ელისაშვილს „გაკიცხვა" და მიეცეს მას წინადადება, რომ მის მიერ ჩადენილი უდანაშაულო უფროსის წინაშე ცუდი საქციელი იქნეს უკანასკნელი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის გამორიცხულ იქნება სამსახურიდან.

ინფ. კორ. ხ. შ.

უჩინარ მუშა რევოლიუციონერის ხსოვნას.

(ნეკროლოგი)

მიმდინარე წლის 5 მარტს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ნემეცების საავადმყოფოში გარდაიცვალა ამხ. არტემ ასატუროვი. ამხ. ასატუროვი იყო ერთი საუკეთესო მშრომელი ამხანაგთაგანი,—ხელობით მექუდე. თავისი ხელობა და თავის თავისათვის ზრუნვა, მას იმდენად არ აინტერესებდა, რამდენადაც მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობა და მისთვის თავდადებული შრომა. მართალია, ის არ იყო ოფიციალურად პარტიის წევრი მაგრამ—მას თავის სიცოცხლეში, უმეტესი ნაწილი თავისი თავისუფალი დროის, შეძლებისდაგვარად, მოუხმარებია მუშათა საკითხებისათვის. ის იყო სრულიად უჩინარი ადამიანი, მაგრამ დიდი საქმის მოყვარული და გამკეთებელი. 1901 წელს, მას ჰქონდა გახსნილი აქვე ქალაქში საკუთარი სახელოსნო, სადაც ის საკუთარი შრომით მუშაობას ეწეოდა. ეს სახელოსნო მხოლოდ გარეგან შეხედულობით იყო სახელოსნო და ნამდვილად კი ეს იყო საწყობი აუარებელი არალეგალური ლიტერატურისა და ხშირად იქ იარაღიც ინახებოდა. აქ იკრიბებოდნენ მაშინდელი ახალგაზრდა მოწინავე მუშები და აქვე ინაწილებდნენ საპროკლამაციო ფურცლებს სხვა და სხვა რაიონებში გასავრცელებლად. გარდა ამისა ამხ. ასატუროვის მეთაურობით ხშირად მისი პროფესიის მუშები იკრიბებოდნენ სხვა და სხვა ალაგებში, სადაც მისივე ხელმძღვანელობით მოწვეული იყვნენ პოლიტ-აგიტატორები და ამ გვარად მუშათა მასაში ავრცელებდნენ რევოლიუციონურ იდეებს და ამზადებდნენ მას მომავალ რევოლიუციის შესახვედრად. ამხ. არტო მუშაობდა არა თავის სახელისათვის, არამედ მუშათა კლასის საკეთილდღეოდ, მუშაობდა ის დინჯად, ჩუმად, ფარულად, მაგრამ მის მუშაობას თავის დროის მოჰქონდა დიდი ნაყოფი მშრომელ მასის კლასობრივი გათვითცნობიერებისათვის. უკანასკნელ დროს ამხ. ასატუროვი პოლიტიკურად გამოირკვა. ის დაადგა ნამდვილ პროლეტარულ გზას და გახდა კომუნისტური პარტიის გულწრფელი თანამგრძნობელი და შეძლებისდაგვარად მოღვაწეობდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის—თვის ჩვეულებრივი სიდინჯით და თავდაბლობით. ასეთი უჩინარი მუშები დღესაც ბევრი არიან ჩვენ შორის და აუცილებლად საჭიროა პარტორგანიზაციები მეტი ყურადღებით მოეპყრან ამ გვარ მშვენიერ თვისების, არა ამპარტავან—ჩუმი და დაუღალავ მუშებს. საჭიროა პარტორგანიზაციებმა ასეთი გამოცდილი მუშები დაიახლოვონ და ისინიც აქტიურად ჩააბან საერთო მუშათა მოძრაობის ფერხულში. დასასრულ რამდენიმე სიტყვით მივმართავ მის ნაცნობ ამხანაგ მუშებს, რომ, თერთმეტ მარტს, კვირას, მოხდება გარდაცვალებულ ამხანაგის გამოსვენება ნემეცების საავადმყოფოდან ხოჯივანქის სასაფლაოზე დასაკრძალავად. ვიმედოვნებთ, რომ ყველა შეგნებული მუშები, განსვენებულ უჩინარ რევოლიუციონერის მეგობრები უკანასკნელ პატივისცემას გაუწევენ მას თავის დასწრებით. საუკუნო ხსენება, შენ, უჩინარო ამხანაგო, არტო! შენს ჩუმ და უანგარო შრომას არ დაივიწყებს თვით მომავალი მუშათა თაობაც და შენს სახელს მუდამ ალაგი ექნება მათ გულში!..

მუშა ალ. ბ—შვილი.

თანამშრომლებს არ აძლევს ჯამაგირებს მისი დავალიანება უდრის 800 მილიონ მანეთს. აგრეთვე არ არის დაფარული ქნის ქარხნის ვალი, რომელიც 2,700 მილიონ მანეთს უდრის. ამ საკითხის მოწესრიგება მიენდო პროფკავშირთა საბჭოს სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებას.

— **მუშათა ბიუჯეტის გადასინჯვა.** საქ. პროფკავშირთა სეკრეტარიატის დადგენილებით მუშათა ბიუჯეტის გადასინჯვის მთელი მუშაობა იწარმოებს მხოლოდ საქ. პროფკავშირთა საბჭოში.

— **დასასვენებელ სახლებისათვის.** საქ. პროფ. კავშირთა სეკრეტარიატმა წინადადება მისცა ტფილისის დამზღვევ კასის პრეზიდიუმს, დასასვენებელ სახლის ფონდისათვის გადასდოს 10 პროცენტიანი გადასახადები.

დამზღვევ კასაში

— **დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა დამზღვევ წიგნაკების და ფოტოგრაფიულ სურათების შესახებ** გამგეობამ დაადგინა სულ მოკლე ხანში დაბეჭდოს 50.000 წიგნაკი მაგარი ყდით და დაურიგოს მუშა-მოსამსახურეთ თვით ღირებულ ფასში. წიგნაკებს უნდა დაერთოს თან ფოტოგრაფიული სურათი, რომელიც თვით დაზღვეულმა უნდა წარმოადგინოს.

— **ექსპერტებისათვის გასამრჯელოს მიცემის შესახებ** გამგეობამ დაადგინა მიეცეს ექსპერტს თითო ფაქტიურ სხდომისათვის 300.000 მანეთი.

— **დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა სააგარაკოდ გაგზავნის საკითხი** გამგეობამ დადებით გადასწყვიტა და დაადგინა გამოარკვიოს ჯანმრთელობის კომისარიატის კოლეგიასთან, თუ რამდენი ადგილი ექნება დათმობილი დამზღვევ კასას.

— **ექიმების და აფთიაქების უკანონო მოქმედებათა გამო** მუშა-მოსამსახურეთა მიერ აღძრულ საჩივრების სწორი ფიქსაციისათვის გამგეობამ დაადგინა ყველა ამბულატორიებში დადგას საჩივრებისათვის თითო ყუთი, და ამ ყუთების გასაღები კი შეინახოს დამზღვევ კასის მართველობაში.

კრებები და მოხსენებები

— ორშაბათს, 12 მარტს, საღ. 6 ს. განათლების მუშაკთა კავშირის კულტ. განყოფილება მოაწყობს მოხსენებას: 1) თებერვლის რევოლიუციის მეექვსე წლისთავი და 2) კომუნისტურ პარტიის 25 წლის თავი.

1, 2, 3 და 4 რაიადგილკომებისათვის „განათლების მუშაკთა სახლში"—მომხსენებელი მ. ორახელაშვილისა.

6, 7, 8 და 9 რაიადგილკომებისათვის—ყოფ. რეალურ სასწავლებელში—მომხსენებელი ესსენი.

სხვა და სხვა.

— „Рабочая правда". ამ დღეებში იწყო გამოსვლა მუშურ გაზეთმა რუსულ ენაზე, „Рабочая правда"-მ.

— **„კომუნიზმის დროშა"** № 4-5. გამოვიდა და იყიდება ს. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის საპოლიტიკო-სამეცნიერო ყოველთვიური ჟურნალი „კომუნიზმის დროშა" № 4-5 იანვარი-თებერვალი. ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი წერილები: ფ. მახარაძე—იდეოლოგიური ფრონტი, ნ. ბუხარინი—ბურჟუაზიული რევოლიუცია და რევოლიუცია პროლეტარული, შ. დუდუჩავა—მეტაფიზიკა ფილოსოფიაში, მ. პოკროვსკი—შიში სიკვდილის შიშისა და რელიგიის წარმოშობითი მნიშვნელობა, ალ. ერქომაიშვილი—საბჭოთა სახელმწიფოს დამოკიდებულება კოოპერაციისადმი, ა. ა. მაქსიმოვი—აინშტეინის რელატივიის პრინციპის შესახებ. ხაჭაპურიძე—პოლიტ-განათლების ორგანოების როლი პოლიტიკური კამპანიის ჩატარებაში, მ. ტოროშელიძე—დავიწყება თუ გაყალბება (ამხ. მ. ორახელაშვილის წერილის შესახებ). მ. ორახელაშვილი—გაგვახსენეთ და გაგვისწორეთ (ამხ. მ. ტოროშელიძის წერილის გამო), კ. კომუნაძე—ნ. ჟორდანია. „მისი ნაწერები ეროვნული საკითხის შესახებ" (გამოცემა რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტისა), მე-10 ცეკას აგიტ-პროპ. განყ. ნათარგმნი ლიტერატურა, შ. დ-ვა—ბიბლიოგრაფიული შენიშვნები თეატრის შესახებ, გ. პლეხანოვის სიტყვა საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე პარიზში, 1889 წ. 21 ივლისს, მოსეგესის წერილი ბერტელდ აუერბახთან კარლ მარქსის შესახებ, ოქტომბრის დღეები და პლეხანოვი, მისალმება გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ყრილობისადმი ქ. კოპენჰაგენში 1883 წ. 3 მაისს.

— **კურსები მოანგარიშეთათვის.** 10 მარტიდან საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტ. განყოფილების თაოსნობით გაიხსნა კურსები მოანგარიშეთათვის მოსამზადებლად. კურსების მიზანია სპეციალური ცოდნით აღჭურვას პროფკავშირებში მომუშავე ბუხალტერების, მოანგარიშეების და კანტორის მოსამსახურეებისა. კურსებზე მიიღებიან კავშირის წევრები.

სკოლის გახსნა. ტფილისის გამასწორებელ სახლში № 1 გაიხსნა სკოლა 20 თანამშრომლისათვის. სკოლაში უკვე დაიწყო მეცადინეობა.

— **დაიკარგა.** სახელმწიფო ოპერის ზამთრის სეზონის ბილეთი გაცემული გაზ. „კომუნისტის" რედაქციის სახელზე (სკამი 52, მესამე რიგი. მარცხნივ) ჩაითვალოს გაუქმებულად.

ხელოვნება

— **ყოფილ კატორღელთა სალამო.** 12 მარტს 1 სახელმწიფო კონსერვატორიაში ყოფ. პოლიტიკურ კატორღელების საზოგადოება მართავს სალამო-კონცერტს შემდეგი შინაარსით: 1) „მოგონება კატორღაზე და გადასახლებაზე", მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოების წევრნი ამხ. ამხ. არაქელა ოქუაშვილი, ლადო დუმბაძე. ნერსეს ყორღანოვი, ათაბეგოვ თუმასი, ვოდოვოზი, არჩილ რუხაძე და სხ. დასასრულ კონცერტი.

— **მარიამ გაბაშვილის იუბილეს გამო.** ქალაქის აღმასკომის მცირე-პრეზიდიუმმა დაადგინა, სახელმწიფოს პირველ კონსერვატორიის მასწავლებელს მარიამ გაბაშვილს მიეცეს დახმარების სახით 20 მილ. მან. მისი იუბილეს გამო.

— **სალამო აფხაზეთის ბავშთა ახალშენის სასარგებლოდ** 11 მარტს რუსთაველის თეატრში გაიმართება დიდი სალამო, აფხაზეთის ბავშთა ახალშენის სასარგებლოდ.

— **სომეხ მსახიობის ალიხანიანის იუბილეს გამო.** ქალაქის აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა სომეხ მსახიობს ალიხანიანს მიეცეს 20 მილ. მან. მისი იუბილეს გამო.

— **რუსთაველის თეატრი.** მზადდება და ახლო ხანში წარმოდგენილი იქნება კ. მარჯანიშვილის რეჟისორებით „სარკის ადამიანი".

— **სალამო 8 მარტის აღსანიშნავად** მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის აღსანიშნავად ცენტრალურ წითელ არმიელთა კლუბში გამართულ იქნა სალამო ამავე კლუბის წრეების ძალით. კლუბი მორთული იყო შესაფერისი პლაკატებით და ლოზუნგებით. სალამოს დაწყებამდე მოხსენება გააკეთა ამხ. მ. ორახელაშვილმა, რომელიც შეეხო ამ დღის მნიშვნელობას ამიერ-კავკასიის და საერთოდ აღმოსავლეთის ქალებისთვის. დადგმულ იქნა ქართულ ენაზე ამხ. მამულაშვილის სურათი „ქალი", რუსულად „კომუნისტი ქალი". შემდეგ გაიმართა საკონცერტო განყოფილება, დეკლამაციით და ცოცხალი სურათებით. სალამოს დაესწრო 400 მუშა ქალი და წითელ-არმიელნი.

— **მარიამ გაბაშვილის იუბილე.** დღეს, სახ. 1 კონსერვატორიაში გაიმართება ამავე კონსერვატორიის ხელმძღვანელის და მასწავლებლის მარიამ გაბაშვილის იუბილე 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად. მისალმებების შემდეგ გაიმართება კონცერტი კონსერვატორიის საუკეთესო ძალებით.

დღეს თეატრებში

— სახელმწიფო ოპერა—„დუბროვსკი". რუსთაველის თეატრი—„მზის დაბნელება". პატარა თეატრი—ბენეფისი რობერტ ადელჰეიმის. სახალხო სახლი—ქართული წარმოდგენა 1-ლი საბჭოთა თეატრი—ნიკოლოზ 1-ლი. კამერული თეატრი—სომხური წარმოდგენა. პროფკავშირთა კლუბი—სალამო-კონცერტი. 1-ლი სახ. კონსერვატორია—მარიამ გაბაშვილის საიუბილეო კონცერტი. კინო-მინიონ—კბილი კბილის წილ. კინო-არფასტო—„ფირუზი ფოლაქების საიდუმლო". სარკის-კინო—„როგორ მივიდა ის ასეთ ცხოვრებამდი". კინო-სოლეილ—„ოტელო". აპოლო—„კარნავალის შედეგები". კინო-პალას—„უკანასკნელი მოგზაურობა ტარზანის".

პროვინციაში

25 თებერვლის დღესასწაული

ქ. გორი

ამ დღეს ქ. გორში შეერთებული იყო აგრეთვე წითელი არმიის 5 წლის თავის შესრულების დღე. მთელი ქალაქი იყო მორთული წითელი დროშებით, ლოზუნგებით, მწვანე ფოთლებით. იყო გამართული რამოდენიმე ტრიუმფალური არკები. დილის 11 საათზე მოიყარა თავი მუშათა კლუბის წინ მწყობრად დარაზმულმა პროფკავშირის წევრებმა, ხელოსნებმა, მოწაფეებმა და შეიარაღებულმა ძალებმა წითელი დროშებით. დაირაზმა დიდი პროცესია, რომელმაც დაიკავა თითქმის მთელი მთავარი ქუჩა. პროცესიაში მიიღო აგრეთვე მონაწილეობა გორის თემის გლეხობამ და გორის მოქალაქეებმა. პროცესიაში იყო აგრეთვე ცოცხალი სიმბოლიური ჯგუფები ურმებზე გამართული შრომისა, მუშა-გლეხის და წითელ-არმიელის კავშირისა და სხვ. პროცესია მუსიკით გაემართა თავდაპირველად ქალაქის პროლეტარულ უბანში (გარეთუბანი), სადაც გაიმართა მოკლე მიტინგი. შემდეგ პროცესია გაემართა თავისუფლების მოედანზე, სადაც შესდგა მთავარი მიტინგი. მიტინგზე გამოვიდნენ ორატორები ადგილობრივი ამხანაგები და აგრეთვე თბილისიდან ჩამოსულნი. გამოვიდნენ აგრეთვე უპარტიო გლეხები. მიტინგმა დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე. შემდეგ პროცესია გაემართა კვლავ მთავარი ქუჩისაკენ და დაიშალა. სალამოზე სახალხო სახლში უფასოდ იქნა ნაჩვენები რევოლიუციონური კინო-სურათი და სატირიული ოპერეტკა მენშევიკების ცხოვრებიდან პარიზში. ღამით იქნა გაჩირაღდნებული ძველი ციხე.

ამ დღემ საერთოდ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა იმ პირებზე, რომელნიც იყვნენ მოწმენი ყოველივესი. ამ დღემ ყოველივე იმედები დაუკარგა ჩვენს მოწინააღმდეგეთ, რადგანაც მათ ნათლად დაინახეს, რომ ამის შემდეგ მათი ყოველივე ხრიკები ამაოა და მშრომელი მასა თავის მოსარჩლედ სცნობს მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა მთავრობას.

ტყვიავის თემი (გორის მაზრა).

კვირას 25 თებერვალს ა/წ. დილის 11 საათზე ს. ტყვიავში შესდგა საქართველოს გასაბჭოების ორი წლის თავის და წითელ-ჯარის არსებობის 5 წლის აღსანიშნავათ საზეიმო მიტინგი. სადაც დაესწრო 1,250 კაცი და ქალი, რომლებიც აღფრთოვანებით შეეგებნენ მიტინგს. მიტინგი გახსნა ამხ. ლადო ფსიტიძემ.

ვრცელი მოხსენება გააკეთა ინსტრუქტორმა ამხ. ალ. ნოზაძემ, მან გააცნო ხალხს საქართველოს გასაბჭოების 2 წლის თავის მნიშვნელობა და მისი სიდიადე მშრომელ ხალხისათვის. აგრეთვე წითელ არმიის არსებობის 5 წლის თავისთვის მნიშვნელობა. შემდეგ ილაპარაკეს ამხ. ფსიტიძემ, ამხ. ამხ. მესხიძემ და სხვებმა. ილაპარაკეს უპარტიოებმაც, აგრეთვე ითქვა ლექსებიც. შემდეგ იმღერეს ინტერნაციონალი. მიტინგმა შემოიარა დროშებით ხელში და ზურნით მთავარი ქუჩები. სალამოს 4 საათზე მიტინგი დაიშალა დიდათ ნასიამოვნები. მიტინგზედ გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია:

„საქართველოს გასაბჭოების ორი წლის თავის და წითელ-არმიის 5 წლის თავის აღსანიშნავად გამართულ მიტინგზე დამსწრე ტყვიავის თემის მრავალ რიცხოვანი ხალხი, აღფრთოვანებით ვდღესასწაულობთ ამ დიად დღეს საქართველოს გასაბჭოების და პროლეტარიატის განთავისუფლების 2 წლის თავს და მას სიხარულით ვიზეიმებთ მომავალ წლებშიაც ტყვიავის თემის საზოგადო მიტინგი გულწრფელად მიესალმება მსოფლიო პროლეტარიატის ბელადებს. გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის და მათ განთავისუფლებას. სიკვდილი ბურჟუაზიას, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში! გაუმარჯოს მსოფლიო წითელ ჯარს, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას მთელი დედა-მიწის ზურგზედ!

ქვათისხევის თემი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ორი წლის დღესასწაულისათვის დიდი სამზადისი იყო. თემის მცხოვრებლები ამ სამზადისში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდნენ ადგილობრივი აღმასკომი, კომუჯრედი და მილიცია, რომლების თაოსნობით ფილიპე მახარაძის ქუჩა მშვენივრად იყო მორთული ნაძვების და ფიჭვების შტოებით.

25 თებერვალს მეტად მშვენიერი დღე გათენდა. ხალხიც დიდძალი შეგროვდა აღმასკომის შენობასთან. მიტინგი გახსნა აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. მიხეილ ავლოხაშვილმა, რომელმაც ხალხს გააცნო 25 თებერვლის მნიშვნელობა და წითელ არმიის ბრძოლა საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციის გამარჯვებისათვის. მიტინგს აგრეთვე დაესწრო გორის მაზრის ინსტრუქტორ-ორგანიზატორი ამხ. ესტატე ბუზრუკიძე, რომლის სიტყვას ხალხი ვაშას ძახილით მიეგება. აუხსნა ხალხს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ერთად-ერთი დამცველია მშრომელი გლეხ-კაცობის, რაც გამოიხატება **მიწის** მიცემით მიწის მუშებისათვის. მხურვალე მონაწილეობა მიიღო გორმაზრის საყოველთაო სამხედრო მე 4-ე სკოლამ ამხ. ამხ. კალაშნიკოვის და შაყულაშვილის მეთაურობით. სალამოს გამართულ იქმნა უფასო წარმოდგენა ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ, რომელთაც მშვენივრათ შეასრულეს თავიანთი როლები დრამა „ქრისტინე"-ში.

გ. კავთურელი.

მუშების განცხადება მენშევიკური პარტიისაგან გამოსვლის შესახებ

(წერილი გაზ. „კომუნისტ-ის" რედაქციის მიმართ).

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში მოგვითავსოთ ეს წერილი.

ჩვენ, ამაზე ხელის მომწერნი, მუშები საქონლის სადგურისა, ვაცხადებთ შემდეგს:

1919 წლამდი ვირიცხებოდით ს. ს. დ. პარტიაში. შემდეგ ამისა არავითარ პარტიულ მუშაობას არ ვეწეოდით. ამ ჟამათ ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ გამოვდივართ მენშევიკურ პარტიიდან და აგრეთვე ვალდებულათ ვსთვლით თავს ხელი შევუწყოთ არსებულ სოციალისტურ წესწყობილებას მის აღმშენებლობით საქმეში. **ლავრენტი ანდღულაძე, ისაკი დავითის ძე გურგენიძე, იაგორ სიმონის ძე კალანდაძე.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

მარქსისტულ წრეების მუშაობის ცხრილი.

— კვირას, 11 მარტს, 11—1 საათამდე შესდგება ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიასთან არსებულ წრის კრება. ხელმძღვანელი ამხ. გალკინი.

— შაბათს, 17 მარტს სალამოს 6 საათზე ცენტრალურ პარტიულ სკოლის შენობაში შესდგება სტუდენტთა წრის კრება. ხელმძღვანელი ამხ. ნოვიკოვი.

— შაბათს, 17 მარტს, სალამოს 5 საათზე შესდგება ტფილისის კომიტეტის ბინაზე ტფილისის მაზრის საგანგებო დანიშნულების ნაწილის წრის კრება. ხელმძღვანელი გალკინი.

— შაბათს, 17 მარტს, სალამოს 6 საათზე მბეჭდავთა წრის კრება. ხელმძღვანელი ამხ. მედვედევი.

— სკოლის გარეშე სწავლების მუშაკთა წრის კრება ოთხშაბათს, 14 მარტს არ შესდგება.

ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება.

პროფესიონალური

— კვირას, 11 მარტს, დილის 11 საათზე, „განათლების მუშაკთა სახლში" შესდგება განათლების მუშაკთა კავშირის კომუნისტ-წევრების საზოგადო კრება. ყველა ამხანაგების დასწრება პარტიულ დისციპლინის წესით სავალდებულოა.

კომფრაქციის მდივანი შავერდოვა.

განცხადებები

სახელმწიფო
ოპერა
კრ. 249—1—1

დღეს, 11 მარტს.
დუბროვსკი
დასაწყისი სალამოს სრულ 8 საათზე.

ორშაბათს, 12 მარტს,
სახელმწიფო ოპერაში
სახელმწიფო აკადემიურ თეატრების ავათმყოფ არტისტთა და დასახიჩრებულთა სასარგებლოდ
შესდგება
გრანდიოზული სალამო ცირკი
სამ სახელმწიფო თეატრების არტისტთა მონაწილეობით.
დაწვრილებით პროგრამებში. 250—1—1

I-ლი სახელმწ. კონსერვატორიის
დარბაზი
1878—1923
კვირას 11 მარტს
შესდგება
45 წლის პედაგოგიური მოღვაწეობის აღსანიშნავათ 1 სახელმწიფო კონსერვატორიის დამსახურებული უფროსი მასწავლებლის
მარიამ ზაქარია გაბაშვილის ასულის
საიუბილეო კონცერტი
კონსერვატორიის პროფესორების და მასწავლებლების და 1 სახელმწიფო კონსერვატორიის მოწაფეების მონაწილეობით.
დასაწყისი საღ. 8 საათზე.
ბილეთები—კონსერვატორიაში 11—2 და 6—8 ს. საღ.
საიუბილეო კომისია სთხოვს ყველა დაწესებულებას და იმ პირთ, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა საიუბილეო ზეიმში წინდაწინვე გამოუცხადონ 1 კონსერვატორიის დირექტორს.
280—1—1

სავალდებულო დადგენილება

ტფილისის აღმასკომი, თანახმად თავისი დადგენილებისა 23 დეკემბრიდან 1923 წ. საყოველთაო საყურადღებოთ აცხადებს, რომ:

ადგილობრივ გადასახადთა დებულების 13 მუხ. 17 და 26 მუხლისა შემოღებულია ქალაქ ტფილისში, აღმასკომის სასარგებლოდ შემდეგი გადასახადები სახალხო ნოტარიუსის საშუალებით:

1) სხვა და სხვა აქტებზე, შემოწმებებზე, პროტესტებზე და გადასახადების მოთხოვნაზე, ამავე აქტების სახელმწიფო გადასახადის 25 პროცენტის რაოდენობით.

2) უძრავ ქონების ტრიალზე, მამულის გადაცემას საბუთის შედგენის დროს, შემდეგი რაოდენობით: თუ მამული გაიყიდა 10 მილიონამდე 1 პრ. 20 მილიონამდე 2 პროც., 30 მილიონამდე 3 პროც., 40 მილიონამდე 4 პრ., 50 მილიონამდე და ზევით 5 პროც.

პრეზიდიუმის თავმჯდომარე **სუხიშვილი.**
მდივანი **თიკანაძე.**

გიორგი ქაიხოსროს ძე ბახჩიევი
ამით ვაცნობებ მევენახეების საყურადღებოთ, რომ როგორც წარსულ წლებში ვყიდდი საუკეთესო ხარისხის
იტალიურ გოგირდს,
ისევ განვაახლე იგივე ვაჭრობა. გოგირდის გაცემა დაიწყება თბილისში 15 მარტიდან.
19 თებერვლის ქუჩა, თივის მოედანი № 80, საკუთარი სახლი, აგრეთვე ბათუმში მარინის პრ. № 43, მაღაზიაში იკითხავთ გ. ქ. ბახჩიევს ანუ საქმეთა მმართველს.
გოგირდის ფასები იქნება იაფი ბაზრის ფასებზედ.
313—3—1

კვირას, 11 მარტს,
საფონდო-საქონლის ბირჟის შენობაში,
(სოლოლაკის ქ. № 7), დღის 12 საათზე დანიშნულია
საფონდო-საქონლის ბირჟის წევრების და ბირჟაზე მოსიარულეების
კრება

მოხსენებები: 1) საფონდო და საქონლის ბირჟების როლი და მნიშვნელობა
2) საბირჟო ვაჭრობის ფორმები და ტეხნიკა.

კრებაზე მიწვეული არიან: ყველა სახელმწიფო ორგანოების, სახელმწ. სამეურნეო ორგანოების, კოოპერატიულ, საკრედიტო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების, კერძო სავაჭრო სამრეწველო ფირმების და წარმოებების წარმომადგენლები და ყველა ის პირები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ვაჭრობით და მრეწველობით. შესვლა თავისუფალია. კრ. 248 1—1

საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სანიტარული განათლების განყოფილება 20 მარტს ხსნის
მოწყალების დების სკოლას
კურსი 2½ წლიანი
სწავლის ქირა 7 მან. 50 კაპ. (ოქროთი)
ნახევარ წელიწადში

თხოვნების მიღება და ცნობების მიცემა: სანიტარულ განათლების საბჭოს მდივანთან ექიმ ვილთან (საპიორის ქუჩ. 30, ოთახი 5, 11—2 ს., ან პედაგოგიურ საბჭოს მდივანთან, ექიმ მარკოზოვთან (ალექსანდროვის ქუჩა № 27, საღამოს 5—7 ს.)

კრ. 238 3—2 **მოსწავლეთა რიცხვი განსაზღვრულია.**

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყ. ფილტვების—ჭლექი და გულის—სპეციალური წამლობა მალარიისა შეშხაპუნება 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეტი.
იღებს 9—12 საათ.—დღის და 5—7 ს. საღ.
ბებუთოვის ქუჩა № 23. (264—25—5)

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით **რენტგენი დ'არსონვალი**
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (233—25—8)

გამოცდილი მასწავლებელი ამზადებს პირობით საერთო განათლ. კურსებზე. ტეხნიკუმში, ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლაში შესასვლელად. აგრეთვე ასწორებს ჩამორჩენილ მოწაფეებს მათემატიკაში, პლეხანოვის და ალექსის ქუჩ. კუთხე № 25 და 5. აქვე იღებენ ჯგუფში ქალებს საბებიო ინსტიტუტში შესასვლელად.
ნახვა და ჩაწერა 9—12 და 3—5 ს. 293- 4—2

ქალ. ტფილისში და მის მაზრაში მცხოვრებ ექიმთა საყურადღებოდ.

ყველა ექიმები, როგორც სამსახურში მყოფნი, აგრეთვე კერძო პრაქტიკის მქონენი, ვალდებულნი არიან ყოველივე გადამდებ ავადმყოფობის შემთხვევის შესახებ აცნობოთ დაუყონებლივ ტფილისის ჯანმრთელობის განყოფილებაში (ველიამინოვის ქ. № 3, ტელეფონი № 9-12).

აგრეთვე ვთხოვ ექიმებს მოგვაწოდონ ცნობები მალიარიით ყოველივე დაავადებულთა შესახებ, ყოველივე კვირის დამლევს.

ექიმები, რომლებიც არ შეასრულებენ ზემოაღნიშნულს მიცემულნი იქნებიან პასუხისგებაში.

სათანადო ბარათების მიღება შეიძლება ტფ. ჯანმრთელობის განყოფილებაში.

ტფ. და მისი მაზრის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარულ ეპიდემიის ნაწილის გამგე **მგელაძე.** (კრ. 246 3—3)

დავკარგე მე-6-ე ვაჟთა გიმნაზიის მიერ ვასილი თედორეს-ძე გუდზენკოს სახელზე გაცემული კურსის დამთავრების ატესტატი, ჩაითვალოს გაუქმებულად. 310—2—1

დავკარგე ჯიბიდან მასწავლებელთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 1"17, ჩემი შვილი შოთა მარგიშვილის ზაქსის სახელწოდების ქაღალდი. მე-18-ე შრომის სკოლის დარაჯი ელისაბედ მარგიშვილი, ჩაითვალოს გაუქმებულად. 311—1—1

არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილება ამით აცხადებს, რომ ღვინის შეძენის ნებართვა 950 ვედრის გაცემული არაპირდაპირ გადასახადთა განყოფილების მიერ იასონ სულთანიშვილზე 2 თებერვალს ა. წ. № 169 **დაკარგულია** და ჩაითვალოს გაბათილებულად. 315—1—1

დავკარგე ალექსი ეპიტაშვილის სახელზე გაცემული საღრიცხვო ბარათი, ჩაითვალოს გაუქმებულად. 312—1—1

დავკარგე ყოფ. ყარსის ქალაქის პოლიციის სამმართველოს მიერ ამბროსიოს სბორშჩიკოვის სახელზე 1907 წ. 2 იანვარს გაცემული საპასპორტო წიგნაკი № 5, ჩაითვალოს გაუქმებულად. 314—1—1

დავკარგე შემდეგი საბუთები: 1. მანდატი № 14 ა. წ. 3 იანვრის თარიღით მოცემული შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან; 2. პროფესიონალურ კავშირის წევრობის მოწმობა № 2676; 3. ქ. თბილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარიატიდან მოცემული მოწმობა აღრიცხვაზე ალების შესახებ 1922 წ. 2 ნოემბრის თარიღით; და 4. პროფკავშირის ჩემს სახელზე გაცემული მოწმობა, რომ მე ვარ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომელთა შრომის დაცვის წარმომადგენელი. გთხოვთ ზემოხსენებული საბუთები გაუქმებულად ჩათვალოს. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალურ განყ. გამგე **კონსტანტინე ყარამანის ძე ნანეიშვილი.** 317—1—1

დავკარგე სერგია დოლიძის სახელზე გაცემული პასპორტი, ჩაითვალოს გაუქმებულად. (301—2—2)

დავკარგე ლევ სოლომონის ძე რუსოვსკის სახელზე გაცემული პასპორტი № 543, ჩაითვალოს გაუქმებულად. (302—2—2)

ტირაჟი 10,000 ნ. ს. დ. ც.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-3 სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.